წლიური ანგარიში

2023

enterprisegeorgia.gov.ge

აწარმოე საქართველოში

სარჩევი

ჩვენ შესახებ 4

სტრუქტურა 4

1. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დეპარტამენტი 5

1.1 სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილი .. 5

1.2 სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილი 8

1.3 სახელმწიფო პროგრამა - საკრედიტო საგარანტიო სქემა 13

1.4 სახელმწიფო პროგრამა „იპოთეკური კრედიტების მხარდაჭერის მექანიზმი“ 16

1.5 სახელმწიფო პროგრამა „სუბსიდირებული იპოთეკური სესხი“ 18

1.6 სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ კინოინდუსტრიის ნაწილი 20

1.7 მენეჯერთა გადამზადების პროგრამა - Partnering in Business with Germany..... 21

1.8 შეხვედრები კომპანიებთან 22

2. მიკრო მეწარმეობის განვითარების დეპარტამენტი..... 23

2.1 სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილი (მიკრო გრანტები) 23

2.2 რეგიონული საკონსულტაციო ცენტრები..... 27

2.3 მომსახურების ცენტრი (სამსახური) 28

3. ექსპორტის დეპარტამენტი 30

3.1 საერთაშორისო გამოფენებში/ღონისძიებებში მონაწილეობის ორგანიზება 31

3.2 ექსპორტის მენეჯერთა გადამზადება..... 32

3.3 ექსპორტის სტიმულირების პროგრამა..... 33

3.4 სხვა ადგილობრივი პროექტები 34

4. ინვესტიციების დეპარტამენტი..... 35

4.1 საინვესტიციო პოტენციალის ცნობადობის ზრდა..... 35

4.2 საინვესტიციო პროექტები..... 36

5. ფინანსური პროცესებისა და რისკების მართვის დეპარტამენტი..... 37

6. ანალიზის, მონიტორინგისა და შეფასების დეპარტამენტი..... 39

6.1 ანალიტიკის მიმართულება 39

6.2 მონიტორინგისა და შეფასების მიმართულება 40

7. ადმინისტრაციული დეპარტამენტი 41

7.1. ფინანსური მაჩვენებლები 42
7.2. ბუღალტერიის მიმართულება 43
7.3. იურიდიული სამსახური 43
7.4 საქმისწარმოების მიმართულება 44
7.5 ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით განხორციელებული აქტივობები 45
7.6. გენდერული თანასწორობის საკითხების მუდმივმოქმედი კომისია 46
8. საერთაშორისო ურთიერთობების და დონორთა კოორდინაციის სამსახური 47
9. „საქართველოს მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დახმარებისა და აღდგენის პროექტის“ საორგანიზაციო ჯგუფი 49

ჩვენ შესახებ

სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს საქართველოში სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის და მათი საექსპორტო პოტენციალის ზრდა, საქართველოს საინვესტიციო კლიმატის პოპულარიზაცია და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა.

მისია: მეწარმეობის განვითარება, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობა ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე.

სტრუქტურა

2023 წელს სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ დეპარტამენტების სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

გრაფიკი 1. სააგენტოს სტრუქტურა



1. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დეპარტამენტი

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დეპარტამენტის ძირითადი საქმიანობა მცირე და საშუალო ბიზნესის წამახალისებელი პროგრამების განხორციელება და მართვაა.

დეპარტამენტის ფუნქცია-მოვალეობები ასევე აერთიანებს შემდეგ საქმიანობებს:
ა) მცირე და საშუალო ბიზნესის საჭიროებების იდენტიფიცირება და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება;
ბ) ბენეფიციარებისა და დაინტერესებული პირებისთვის კონსულტაციის გაწევა, ჩართულ ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობა;
გ) მეწარმე სუბიექტების ფინანსური, ტექნიკური და საინფორმაციო-საკონსულტაციო მხარდაჭერის მიზნით ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
დ) პროგრამების ორგანიზების, განხორციელებისა და მართვის მიზნით საინფორმაციო-ტექნოლოგიური უზრუნველყოფის შექმნა და დანერგვა.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დეპარტამენტი აერთიანებს შემდეგ პროგრამებს:

- სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილი;
- სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილი;
- საკრედიტო საგარანტიო სქემის სახელმწიფო პროგრამა;
- სახელმწიფო პროგრამა „იპოთეკური კრედიტების მხარდაჭერის მექანიზმი“;
- სახელმწიფო პროგრამა „სუბსიდირებული იპოთეკური სესხი“;
- სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ კინოინდუსტრიის ნაწილი.

1.1 სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილი

პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილი, რომელიც ამოქმედდა 2014 წელს და განაცხადებს იღებდა 2021 წლის ბოლომდე, მოიცავდა კომერციული ბანკების მიერ დამტკიცებული სესხების ან სალიზინგო კომპანიების მიერ გაცემული ლიზინგის საგნების საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას. კრედიტის/ლიზინგის საგნის თანადაფინანსება, პროგრამის ბოლო პირობების მიხედვით, ითვალისწინებდა სააგენტოს მიერ პროგრამის ფარგლებში კომერციული ბანკის/ლიზინგის გამცემის მიერ ბენეფიციარისთვის გაცემულ კრედიტზე/ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული 36 თვის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას,რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 3%-ის ოდენობით - კრედიტის შემთხვევაში და რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 5%-ის ოდენობით - ლიზინგის შემთხვევაში.

მიუხედავად იმისა, რომ სესხის სუბსიდირების ინდუსტრიული პროგრამა 2021 წლის დეკემბერში შეწყდა, პროგრამის ფარლებში გაცემულ სესხებზე დღემდე მიმდინარეობს ხელშეკრულებების შესაბამისი გადარიცხვები.

პროექტის ფარგლებში ჯამურად დამტკიცდა 1,156 სესხი, რომელთა მოცულობამაც 1.5 მილიარდ ლარს მიაღწია, ხოლო ჯამურმა ინვესტიციამ 2.4 მილიარდი ლარი შეადგინა. არსებულ ხელშეკრულებებზე ჯამურად გადარიცხულია 299.2 მლნ ლარამდე, საიდანაც 2023 წლის განმავლობაში გადაირიცხა 78.2 მილიონ ლარზე მეტი.

ცხრილი 1. ინდუსტრიული ნაწილის ფარგლებში დამტკიცებული სესხების რაოდენობა და მოცულობა (ლარი), ინვესტიცია (ლარი) და ახალი სამუშაო ადგილები (2014-2021)

	2014-2019	2020	2021
დამტკიცებული სესხების რაოდენობა	**584**	**156**	**416**
საწარმო	424	124	343
სასტუმრო	160	32	73
დამტკიცებული სესხის მოცულობა (ლარი)	**690,415,947**	**217,639,970**	**578,675,187**
საწარმო	513,655,031	177,725,395	477,155,947
სასტუმრო	176,760,916	39,914,575	101,519,240
ინვესტიციის მოცულობა (ლარი)	**1,172,737,932**	**369,642,204**	**817,570,502**
საწარმო	817,505,365	270,189,649	598,984,111
სასტუმრო	355,232,567	99,452,555	218,586,391
ახალი სამუშაო ადგილები	**15,292**	**6,216**	**6,695**
საწარმო	12,232	5,567	5,356
სასტუმრო	3,060	649	1,339

სექტორულ ჭრილში, როგორც სესხების რაოდენობით, ისე გადარიცხული თანხების მოცულობით, განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფისა და სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოების სექტორები ლიდერობს.

ცხრილი 2. ინდუსტრიული ნაწილის ფარგლებში გადარიცხული თანხა (ლარი) სექტორების ჭრილში

სექტორი	**რაოდენობა**	**გადარიცხული თანხა (ლარი) 2023**	**ჯამურად გადარიცხული თანხა (ლარი) 2014-2023**
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	264	13,525,031	62,618,252
სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება	196	8,076,560	44,690,711
რეზინის და პლასტმასის ნაწარმის წარმოება	87	3,911,289	19,065,676
ქაღალდის და ქაღალდის ნაწარმის წარმოება	76	6,452,208	21,435,346
ლითონის მზა ნაწარმის წარმოება, მანქანების და მოწყობილობების გარდა	76	3,345,657	22,614,964
ჯანდაცვის საქმიანობები	72	6,278,790	16,050,852
ავეჯის წარმოება	58	1,545,001	5,754,615
კვების პროდუქტების წარმოება	53	1,396,836	13,824,624

ბეჭდვა და მედია-ჩანაწერების აღწარმოება	29	17,862	4,325,851
ტანსაცმლის წარმოება	29	836,370	8,583,346
დასაწყობება და დამხმარე სატრანსპორტო საქმიანობები	25	7,504,185	12,108,770
ხის და კორპის ნაწარმის წარმოება, ავეჯის გარდა; ნაკეთობების წარმოება ჩალის და წნული მასალებისაგან	24	715,659	2,219,791
ქიმიკატების და ქიმიური პროდუქტების წარმოება	22	1,754,896	6,246,611
თევზჭერა და აკვაკულტურა	18	7,458,337	13,761,382
სასმელების წარმოება	16	330,811	3,805,279
საკვებით და სასმელებით მომსახურება	15	334,165	673,995
ძირითადი ფარმაცევტული პროდუქტების და ფარმაცევტული პრეპარატების წარმოება	13	1,553,078	6,262,177
საბითუმო ვაჭრობა, ავტომობილებით და მოტოციკლებით ვაჭრობის გარდა	12	0	3,318,064
ძირითადი ლითონების წარმოება	10	4,603,387	8,206,673
სხვა მზა ნაკეთობების წარმოება	9	11,262	1,908,585
ელექტრული მოწყობილობების წარმოება	8	1,945,169	4,011,185
საქმიანობები სპორტის, გართობის და დასვენების სფეროში	7	2,986,597	5,319,174
ტექსტილის წარმოება	7	1,732,441	5,598,494
ოფისის ადმინისტრაციული, ოფისის დამხმარე და ბიზნესის სხვა დამხმარე საქმიანობები	6	93,696	2,018,714
კომპიუტერების, ელექტრონული და ოპტიკური პროდუქციის წარმოება	6	98,925	277,485
ბიბლიოთეკების, არქივების, მუზეუმების და კულტურის სხვა დაწესებულებების საქ მიანობები	3	1,009,768	2,552,803
ტყავის და მასთან დაკავშირებული ნაწარმის წარმოება	3	1,244	105,349
მანქანების და მოწყობილობების წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველის	2	275,295	651,719
არქიტექტურული და საინჟინრო საქმიანობები; ტექნიკური გამოცდები და ანალიზი	2	15,376	56,894
სხვა სატრანსპორტო მოწყობილობების წარმოება	2	3,319	55,462
საიჯარო და სალიზინგო საქმიანობები	1	19,256	49,388
თამბაქოს ნაწარმის წარმოება	1	0	48,765
სამთომოპოვებითი მრეწველობის და კარიერების დამუშავების სხვა დარგები	1	0	208,058
საგამომცემლო საქმიანობა	1	250,647	350,614
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	1	163,495	333,301
კოქსის და ნავთობპროდუქტების წარმოება	1	0	60,203
სულ	**1,156**	**78,246,612**	**299,173,170**

გრაფიკი 2. ინდუსტრიული ნაწილის ფარგლებში დამტკიცებული სესხები (მლნ ლარი) და გადარიცხული თანხა (მლნ ლარი) თვეების მიხედვით (2021-2023)



პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილი ასევე ითვალისწინებდა საერთაშორისო ბრენდის გადასახადის თანადაფინანსებას. აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში ბენეფიციარებს შეეძლოთ ესარგებლათ საერთაშორისო ბრენდის გამოყენებისათვის არსებული გადასახადის ანაზღაურებით. დაფინანსება მოიცავდა საქმიანობის დაწყებიდან 24 თვის განმავლობაში დარიცხული და ამ პერიოდზე 29 თვის მანძილზე გადახდილი გადასახადის ანაზღაურებას თითოეულ საანგარიშო წელზე, წელიწადში არაუმეტეს 300 000 ლარის ოდენობით. 2023 წელს საერთაშორისო ბრენდის კომპონენტით ისარგებლა ერთმა სასტუმრომ, რომლის ფარგლებშიც საერთო ჯამში გადაირიცხა 22 ათას ლარზე მეტი.

1.2 სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილი

2021 წლის 1 სექტემბრიდან სესხის სუბსიდირების ინდუსტრიული პროგრამის პირობები გაფართოვდა, რამაც გამოიწვია პროგრამის განახლება და ახალი სახელწოდებით „სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილი“ წარდგენა. განახლებული პროგრამის პირობების თანახმად, სააგენტო მეწარმე სუბიექტისთვის ახორციელებს დამტკიცებული სესხის/ლიზინგის საგნის პროცენტის სუბსიდირებას, დამტკიცებული სესხის სრული ვადით, რეფინანსირების განაკვეთს გამოკლებული 5%-ის (ლიზინგის შემთხვევაში რეფინანსირების განაკვეთს გამოკლებული 3%) ოდენობით.

გარდა აღნიშნულისა, პროგრამა მოიცავს რამდენიმე კომპონენტს:

- საგრანტო კომპონენტი, რომელიც 2023 წლის ბოლოდან ფარავს 62 ეკონომიკურ საქმიანობას და რომელთა ფარგლებში მსესხებელი უფლებამოსილია ისარგებლოს გრანტით (დამტკიცებული სესხის/სალიზინგო პროექტის მოცულობის 15%, არაუმეტეს 500,000₾). ასევე, ევროკავშირის საპილოტე რეგიონების პროგრამის ფარგლებში, 4 საპილოტე რეგიონში[1], 50,000 ლარიდან 1,500,000 ლარამდე სესხის/ლიზინგის მოცულობის შემთხვევაში ყველა ბენეფიციარი 10%-იანი გრანტით ისარგებლებს, ხოლო თუ მათი საქმიანობის სფერო ეკუთვნის საგრანტო კომპონენტის მიმართულებებს, გრანტი შეადგენს 20%-ს.
- საერთაშორისო ბრენდის გადასახადის თანადაფინანსების კომპონენტი, რომლის ფარგლებშიც საერთაშორისო ბრენდის სახელით საქმიანობის პირველი 3 წლის მანძილზე სასტუმრო და ბალნეოლოგიური კურორტების ინდუსტრიების წარმომადგენლებს შეუძლიათ მიიღონ 600,000 ლარამდე გადახდილი გადასახადის ანაზღაურება სააგენტოსაგან.
- საგარანტიო კომპონენტი, რომლით სარგებლობაც ამ პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია მხოლოდ სესხის კომპონენტთან კომბინაციით და მოიცავს სესხის ძირის არაუმეტეს 80%-ის გარანტირებას.

2023 წლიდან პროგრამის ფარგლებში დაშვებულ ეკონომიკური საქმიანობების სიას დაემატა მტკნარი წყლების აკვაკულტურა, ელექტროენერგიის წარმოება და მზა საკვების წარმოება შინაური ცხოველებისთვის, ხოლო საგრანტო კომპონენტის მიმართულებებს – ცენტრალური გათბობის რადიატორების და ბოილერების წარმოება.

პროექტის ფარგლებში, ჯამურად[2] დამტკიცდა 1,113 სესხი/ლიზინგი, რომელთა მოცულობამაც 856.6 მილიონ ლარს გადააჭარბა, ხოლო ჯამურმა ინვესტიციამ – 1.45 მილიარდ ლარს.
2023 წელს პროგრამის ფარგლებში 653 სესხი/სალიზინგო პროექტი დამტკიცდა, დამტკიცებულმა სესხის/ლიზინგის მოცულობამ 513.6 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა, ხოლო ინვესტიციის მოცულობამ 897 მლნ ლარს გადააჭარბა. აღსანიშნავია, რომ 98 სესხის/ლიზინგის მიზნობრიობა ეკუთვნის საგრანტო კომპონენტში გაერთიანებულ საქმიანობებს. ასევე, 653 ხელშეკრულებიდან 216 ხელშეკრულება ჩართულია საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმში.

ცხრილი 3. უნივერსალური მიმართულების ფარგლებში დამტკიცებული სესხები/სალიზინგო პროექტები (2021-2023)

	2021	2022	2023	სულ
სესხების რაოდენობა	**44**	**416**	**653**	**1,113**
საწარმო	**44**	**376**	**585**	**1,005**
მათ შორის, საგრანტო კომპონენტით	9	94	98	201
დანარჩენი საწარმო	35	282	487	804
სასტუმრო	**0**	**40**	**68**	**108**
მათ შორის, საგრანტო კომპონენტით	-	10	-	10
დანარჩენი სასტუმრო	0	30	68	98
დამტკიცებული სესხის მოცულობა (ლარი)	**39,494,073**	**303,513,678**	**513,657,027**	**856,664,778**
საწარმო	**39,494,073**	**246,365,678**	**436,873,027**	**722,732,778**

[1] იმერეთი, კახეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი
[2] 2023 წლის ჩათვლით

მათ შორის, საგრანტო კომპონენტით	16,834,200	49,315,000	65,087,156	131,236,356
დანარჩენი საწარმო	22,659,873	197,050,678	371,785,871	591,496,422
სასტუმრო	**0**	**57,148,000**	**76,784,000**	**133,932,000**
მათ შორის, საგრანტო კომპონენტით	-	9,396,000	-	9,396,000
დანარჩენი სასტუმრო	0	47,752,000	76,784,000	124,536,000
ინვესტიციის მოცულობა (ლარი)	**56,901,372**	**496,238,868**	**897,006,293**	**1,450,146,533**
საწარმო	**56,901,372**	**365,000,997**	**680,993,307**	**1,102,895,676**
მათ შორის, საგრანტო კომპონენტით	26,865,000	69,206,620	93,337,378	189,408,998
დანარჩენი საწარმო	30,036,372	295,794,377	587,655,929	913,486,678
სასტუმრო	**0**	**131,237,871**	**216,012,986**	**347,250,857**
მათ შორის, საგრანტო კომპონენტით	-	31,293,383	-	31,293,383
დანარჩენი სასტუმრო	0	99,944,488	216,012,986	315,957,474
ახალი სამუშაო ადგილები	**1,439**	**4,456**	**5,754**	**11,649**
საწარმო	**1,439**	**3,785**	**4,774**	**9,998**
მათ შორის, საგრანტო კომპონენტით	834	779	661	2,274
დანარჩენი საწარმო	605	3,006	4,113	7,724
სასტუმრო	**0**	**671**	**980**	**1,651**
მათ შორის, საგრანტო კომპონენტით	-	132	-	132
დანარჩენი სასტუმრო	0	539	980	1,519

სექტორული თვალსაზრისით, პროექტების ყველაზე დიდი რაოდენობა არის განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფისა და საკვებით და სასმელებით მომსახურების სექტორებში. სესხის მოცულობის მიხედვით კი განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის სექტორი ლიდერობს.

ცხრილი 4. უნივერსალური მიმართულება სექტორების ჭრილში (2023)

სექტორი	რაოდენობა	სესხის თანხა (ლარი)	ინვესტიცია (ლარი)	დასაქმება
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	145	91,756,500	234,735,899	1,167
საკვებით და სასმელებით მომსახურება	83	38,665,325	46,449,325	852
ჯანდაცვის საქმიანობები	67	74,723,755	171,060,643	885
სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება	47	45,943,811	61,411,586	362
დასაწყობება და დამხმარე სატრანსპორტო საქმიანობები	36	78,247,025	105,241,204	420
რეზინის და პლასტმასის ნაწარმის წარმოება	33	20,369,000	22,037,441	171
აგრო ტურისტული ობიექტი	31	22,563,656	34,037,770	194
ავეჯის წარმოება	31	12,991,000	17,267,000	162
ლითონის მზა ნაწარმის წარმოება, მანქანების და მოწყობილობების გარდა	28	25,223,000	37,176,000	297
კვების პროდუქტების წარმოება	22	9,527,800	13,008,700	210

სახმელეთო ტრანსპორტი და ტრანსპორტირება მილსადენებით	17	2,734,000	3,771,800	26
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	13	9,762,000	12,108,314	63
განათლება	12	11,285,000	28,945,000	124
ქაღალდის და ქაღალდის ნაწარმის წარმოება	12	7,182,250	8,132,213	70
საქმიანობები სპორტის, გართობის და დასვენების სფეროში	12	26,220,500	50,198,500	233
ბეჭდვა და მედია-ჩანაწერების აღწარმოება	11	3,407,175	3,893,331	37
ხის და კორპის ნაწარმის წარმოება, ავეჯის გარდა; ნაკეთობების წარმოება ჩალის და წნული მასალებისაგან	9	5,535,230	6,076,900	44
ტანსაცმლის წარმოება	7	1,668,000	2,083,000	115
სხვა მზა ნაკეთობების წარმოება	5	951,000	1,080,000	23
ტექსტილის წარმოება	4	1,230,000	1,310,000	10
კინოფილმების, ვიდეო- და სატელევიზიო პროგრამების წარმოება, ხმის ჩაწერის და მუსიკალური გამოცემის საქმიანობები	3	2,579,000	2,595,000	44
საინფორმაციო სამსახურების საქმიანობები	3	600,000	600,000	16
ქიმიკატების და ქიმიური პროდუქტების წარმოება	3	1,577,000	5,080,000	12
ეკო ტურისტული ობიექტი	3	960,000	1,010,000	17
ძირითადი ლითონების წარმოება	2	5,060,000	5,200,000	105
საგამომცემლო საქმიანობა	2	1,050,000	1,066,667	6
ვეტერინარული საქმიანობები	2	1,530,000	1,635,000	15
მანქანების და მოწყობილობების რემონტი და დაყენება	2	170,000	170,000	1
სასმელების წარმოება	2	595,000	1,120,000	23
რეზიდენტული ზრუნვა	2	3,300,000	10,500,000	45
კომპიუტერების, ელექტრონული და ოპტიკური პროდუქციის წარმოება	1	3,600,000	5,355,000	0
არქიტექტურული და საინჟინრო საქმიანობები; ტექნიკური გამოცდები და ანალიზი	1	450,000	450,000	0
შემოქმედებითი, სახელოვნებო და გართობის საქმიანობები	1	100,000	100,000	0

მანქანების და მოწყობილობების წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველის	1	2,100,000	2,100,000	5
სულ	**653**	**513,657,027**	**897,006,293**	**5,754**

რაც შეეხება საგრანტო კომპონენტის ჩამლას სექტორების მიხედვით, არსებული 98 სესხიდან/სალიზინგო პროექტიდან, ყველაზე დიდი რაოდენობა და მოცულობა აღინიშნა აგრო ტურიზმისა და რეზინის და პლასტმასის ნაწარმის წარმოების სექტორებში.

ცხრილი 5. საგრანტო კომპონენტი სექტორების ჭრილში (2023)

სექტორი	რაოდენობა	სესხის თანხა (ლარი)	ინვესტიცია (ლარი)	დასაქმება
აგრო ტურისტული ობიექტი	31	22,563,656	34,037,770	194
რეზინის და პლასტმასის ნაწარმის წარმოება	25	18,002,000	18,750,441	133
ავეჯის წარმოება	21	10,936,000	15,202,000	128
ტანსაცმლის წარმოება	7	1,668,000	2,083,000	115
ტექსტილის წარმოება	3	580,000	610,000	5
ეკო ტურისტული ობიექტი	3	960,000	1,010,000	17
ლითონის მზა ნაწარმის წარმოება, მანქანების და მოწყობილობების გარდა	2	4,125,000	10,215,000	53
ქიმიკატების და ქიმიური პროდუქტების წარმოება	2	1,400,000	4,805,000	10
საგამომცემლო საქმიანობა	2	1,050,000	1,066,667	6
კომპიუტერების, ელექტრონული და ოპტიკური პროდუქციის წარმოება	1	3,600,000	5,355,000	0
სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება	1	202,500	202,500	0
სულ	**98**	**65,087,156**	**93,337,378**	**661**

2023 წელს უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილის ფარგლებში დამტკიცებული სესხების/სალიზინგო პროექტებისა და გადარიცხული თანხების მოცულობა მოცემულია გრაფიკ 3-ზე.

გრაფიკი 3. უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილის ფარგლებში დამტკიცებული სესხები/სალიზინგო პროექტები (მლნ ლარი) და გადარიცხული თანხა (მლნ ლარი) თვეების ჭრილში (2021-2023)



2023 წელს განხორციელებული სხვა აქტივობებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

- უნივერსალურ ინდუსტრიულ პროგრამაში, კერძოდ, სალიზინგო პროექტების ჩართვის ნაწილში, ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება დამატებით გაფორმდა სს ტერა ბანკთან.
- მწვანე ეკონომიკის განვითარების მიზნით, სააგენტომ უზრუნველყო ექსპერტის დაქირავება, რომელმაც შეისწავლა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამების პორტფელი და შეაფასა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული მწვანე ტაქსონომიის მიხედვით. აღნიშნულის შესაბამისად, სააგენტომ სებ-ის მწვანე ტაქსონომიის კატეგორიები დანერგა პროგრამულ უზრუნველყოფაში.

1.3 სახელმწიფო პროგრამა - საკრედიტო საგარანტიო სქემა

პროგრამის მიზანია ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესება იმ მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის, რომელთაც არ აქვთ შესაძლებლობა, დააკმაყოფილონ სესხის უზრუნველყოფაზე არსებული მოთხოვნები. პროგრამის ფარგლებში, საკრედიტო გარანტია გაიცემა კომერციული ბანკის მიერ გაცემულ თითოეულ სესხზე, სესხის ძირი თანხის არაუმეტეს 80%-ის ოდენობით და თითოეული კომერციული ბანკისთვის პროგრამის ფარგლებში არსებული სასესხო პორტფელის არაუმეტეს 35%-ის ოდენობაზე. 2023 წლიდან პროგრამის ეკონომიკური საქმიანობების სიას დაემატა სოფლის მეურნეობის ცალკეული კოდები (მეფრინველეობა, მეფუტკრეობა, მტკნარი წყლების აკვაკულტურა, ბოსტნეულის და ბაღჩეულის, ძირხვენებისა და ტუბერების მოყვანა, სხვა ერთწლოვანი კულტურების მოყვანა) და კვების მზა პროდუქტებისა და კერძების წარმოება.

საკრედიტო-საგარანტიო სქემის ფარგლებში 2023 წელს დადასტურდა 340 ახალი ხელშეკრულება, ხოლო სესხების ჯამურმა მოცულობამ 230.8 მლნ ლარს გადააჭარბა.

ცხრილი 6. საკრედიტო საგარანტიო სქემა (2020-2023)

	2020	2021	2022	2023	ჯამი
ახალი პროექტების რაოდენობა	**123**	**200**	**325**	**340**	**988**
დადასტურებული სესხების მოცულობა (₾)	102,234,960	142,099,384	253,414,069	220,182,652	717,931,065
გარანტირებული სესხების მოცულობა (₾)	91,596,119	116,836,386	167,487,843	158,513,532	534,433,879
სააგენტოს მიერ გადარიცხული თანხა (₾)	31,683,153	38,826,076	49,997,215	43,137,104	163,643,548
სააგენტოს მიერ გადასარიცხი თანხა (₾)	0	22,050	332,595	1,039,850	1,394,495
შექმნილი სამუშაო ადგილები	3,035	3,024	3,808	3,844	13,711
რესტრუქტურიზებული/რეფინანსირებული პროექტების რაოდენობა	**15**	**5**	**6**	**6**	**32**
დადასტურებული სესხების მოცულობა (₾)	11,040,291	5,707,947	3,062,994	10,632,956	30,444,188
გარანტირებული სესხების მოცულობა (₾)	3,312,087	3,175,784	2,386,419	6,061,774	14,936,064
სააგენტოს მიერ გადარიცხული თანხა (₾)	1,161,204	1,111,381	835,247	2,121,621	5,229,453
სააგენტოს მიერ გადასარიცხი თანხა (₾)	0	0	0	0	0
ჩახურული სესხების რაოდენობა	**22**	**28**	**10**	**0**	**60**
დადასტურებული სესხების მოცულობა (₾)	22,186,745	30,406,905	11,310,000	0	63,903,650
გარანტირებული სესხების მოცულობა (₾)	17,371,124	24,203,015	6,639,127	0	48,213,265
სააგენტოს მიერ გადარიცხული თანხა (₾)	4,820,446	3,716,364	1,638,464	0	10,175,275
სააგენტოს მიერ გადასარიცხი თანხა (₾)	0	0	0	0	0
სულ სესხების რაოდენობა	**160**	**233**	**341**	**346**	**1,080**
სესხების ჯამური მოცულობა (₾)	**135,461,996**	**178,214,236**	**267,787,063**	**230,815,608**	**812,278,903**
გარანტიის ჯამური მოცულობა (₾)	**112,279,330**	**144,215,185**	**176,513,389**	**164,575,305**	**597,583,208**
სულ შექმნილი სამუშაო ადგილები	**3,035**	**3,024**	**3,808**	**3,844**	**13,711**

2023 წელს საკრედიტო საგარანტიო სქემის ფარგლებში დადასტურებული ახალი სესხებიდან ყველაზე მეტი ხელშეკრულება მემცენარეობა და მეცხოველეობა, ნადირობა და აღნიშნულ სფეროებში მომსახურების გაწევის სექტორში გაფორმდა და სესხის მოცულობამ 40 მილიონ ლარს გადააჭარბა.

ცხრილი 7. საკრედიტო საგარანტიო სქემის ფარგლებში დადასტურებული ახალი პროექტები - სექტორების ჭრილში (2023)

სექტორი	სესხების რაოდენობა	სესხების მოცულობა (ლარი)	გარანტიის მოცულობა (ლარი)	დასაქმება
მემცენარეობა და მეცხოველეობა, ნადირობა და აღნიშნულ სფეროებში მომსახურების გაწევა	71	40,098,200	30,294,775	481
კვების პროდუქტების წარმოება	34	13,108,866	8,904,633	249
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	28	10,674,000	8,143,260	88
საკვებით და სასმელებით მომსახურება	27	16,453,625	10,640,425	1,064
დასაწყობება და დამხმარე სატრანსპორტო საქმიანობები	26	27,222,000	19,873,400	248
ჯანდაცვის საქმიანობები	23	28,020,000	20,494,750	750
სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება	18	23,230,811	16,510,649	169
აგრო ტურისტული ობიექტი	16	5,996,650	4,095,390	79
სახმელეთო ტრანსპორტი და ტრანსპორტირება მილსადენებით	11	2,006,000	1,599,800	17
რეზინის და პლასტმასის ნაწარმის წარმოება	11	7,462,000	5,612,600	58
ლითონის მზა ნაწარმის წარმოება, მანქანების და მოწყობილობების გარდა	9	5,300,000	3,689,000	71
ავეჯის წარმოება	7	4,740,000	3,174,500	58
საქმიანობები სპორტის, გართობის და დასვენების სფეროში	6	10,060,000	8,008,000	128
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	5	2,437,000	1,555,100	23
სასმელების წარმოება	5	5,300,000	3,940,000	29
თევზჭერა და აკვაკულტურა	5	1,080,000	734,000	10
ხის და კორპის ნაწარმის წარმოება, ავეჯის გარდა; ნაკეთობების წარმოება ჩალის და წნული მასალებისაგან	4	1,293,000	989,400	37
ქაღალდის და ქაღალდის ნაწარმის წარმოება	4	2,185,000	1,491,000	24
სხვა მზა ნაკეთობების წარმოება	4	681,000	462,150	21
განათლება	4	1,125,500	900,400	21
ტანსაცმლის წარმოება	3	475,000	330,000	40
ტექსტილის წარმოება	3	1,140,000	782,000	9
საინფორმაციო სამსახურების საქმიანობები	3	600,000	480,000	19
ბეჭდვა და მედია-ჩანაწერების აღწარმოება	2	200,000	157,000	7
საგამომცემლო საქმიანობა	2	1,050,000	840,000	19
ქიმიკატების და ქიმიური პროდუქტების წარმოება	2	1,302,000	443,700	12
საბითუმო ვაჭრობა, ავტომობილებით და მოტოციკლებით ვაჭრობის გარდა	2	562,000	449,600	0
არქიტექტურული და საინჟინრო საქმიანობები; ტექნიკური გამოცდები და ანალიზი	1	450,000	360,000	25
ვეტერინარული საქმიანობები	1	130,000	78,000	10
შემოქმედებითი, სახელოვნებო და გართობის საქმიანობები	1	100,000	60,000	0
კინოფილმების, ვიდეო- და სატელევიზიო პროგრამების წარმოება, ხმის ჩაწერის და მუსიკალური გამოცემის საქმიანობები	1	2,100,000	1,260,000	33
კომპიუტერების, ელექტრონული და ოპტიკური პროდუქციის წარმოება	1	3,600,000	2,160,000	45

სულ	**340**	**220,182,652**	**158,513,532**	**3,844**

2023 წელს საკრედიტო საგარანტიო სქემის ფარგლებში ყოველთვიურად დადასტურებული სესხებისა და განთავსებული საგარანტიო თანხების მოცულობების დინამიკა მოცემულია გრაფიკ 4-ზე.

გრაფიკი 4. საკრედიტო საგარანტიო სქემის ფარგლებში დადასტურებული სესხების მოცულობა (მლნ ლარი) და ამავე პროგრამის ფარგლებში განთავსებული საგარანტიო თანხა (მლნ ლარი), (2021-2023)



1.4 სახელმწიფო პროგრამა „იპოთეკური კრედიტების მხარდაჭერის მექანიზმი“

პროგრამა მოქმედებდა 2020 წლის ივნისში-დეკემბრის პერიოდში და მიზანად ისახავდა დეველოპერულ სექტორში, COVID 19 პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური სირთულეების დაძლევას, უძრავ ქონებაზე წვდომის გაუმჯობესებას იმ ფიზიკური პირებისათვის, რომელთაც არ ჰქონდათ სესხის უზრუნველყოფაზე არსებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობა, ეკონომიკური გაჯანსაღების ხელშეწყობას და უძრავ ქონებაზე მოთხოვნის სტიმულირებას. პროგრამა ფარავდა ორ კომპონენტს, სესხის პროცენტის სუბსიდირების და საგარანტიო, და ვრცელდებოდა 2020 წლის ივნისიდან-დეკემბრამდე პერიოდში გაცემულ იპოთეკურ კრედიტებზე. დარიცხული საპროცენტო სარგებლის სუბსიდირება ხორციელდებოდა სესხის გაცემიდან 60 თვის მანძილზე, არა უმეტეს 4%-ის ოდენობისა, შემდეგი წესით:

- მცურავ საპროცენტო განაკვეთში გაცემული სესხ(ებ)ის შემთხვევაში – დარიცხულ რეფინანსირების განაკვეთს გამოკლებული 4.25% (იმ დრომდე, სანამ დარიცხული რეფინანსირების განაკვეთი გაუტოლდება 5%-ს);
- ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთში გაცემული სესხ(ებ)ის შემთხვევაში – ფიქსირებულად, სესხის ხელშეკრულების გაფორმების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს გამოკლებული 4.25%;

იპოთეკური კრედიტების მხარდაჭერის მექანიზმის ფარგლებში დამტკიცებული სესხების რაოდენობა და მოცულობა ბანკების მიხედვით, მოცემულია ცხრილ 8-ში.

ცხრილი 8. იპოთეკური კრედიტების მხარდაჭერის მექანიზმის ფარგლებში დამტკიცებული სესხების რაოდენობა და მოცულობა ბანკების ჭრილში (2020)

ბანკი	სესხების რაოდენობა	სესხების მოცულობა (ლარი)
საქართველოს ბანკი	2,803	249,256,220
თიბისი ბანკი	2,320	239,763,727
ვითიბი ბანკი	927	91,117,982
ლიბერთი ბანკი	313	26,173,586
ტერაბანკი	218	19,120,853
ბაზისბანკი	135	11,012,261
ხალიკ ბანკი	32	2,876,780
კრედო ბანკი	21	1,831,687
იშ ბანკი	3	372,950
პროკრედიტ ბანკი	3	279,200
ჯამი	**6,775**	**641,805,246**

2023 წელს პროგრამის ფარგლებში 5,427 ბენეფიციარზე სუბსიდიის სახით გაიცა 14.3 მლნ ლარზე მეტი. იპოთეკური კრედიტების მხარდაჭერის მექანიზმის ფარგლებში დადასტურებული სესხებისა და ყოველთვიურად გადარიცხული თანხების მოცულობების დინამიკა მოცემულია გრაფიკ 5-ზე.

გრაფიკი 5. იპოთეკური კრედიტების მხარდაჭერის მექანიზმის ფარგლებში დადასტურებული სესხების მოცულობა (მლნ ლარი) და ამავე პროგრამის ფარგლებში გადარიცხული თანხა (მლნ ლარი), (2020-2023)



1.5 სახელმწიფო პროგრამა „სუბსიდირებული იპოთეკური სესხი“

პროგრამა ამოქმედდა 2021 წლის სექტემბრიდან და მიზნად ისახავს მრავალშვილიანი ან/და იმ ოჯახებისათვის, რომელთაც ჰყავთ ახალშეძენილი შვილი/შვილები, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა იპოთეკური სესხის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების გზით. პროგრამა ვრცელდება როგორც მეორადი ბინის/სახლის შეძენაზე, ასევე სახლის მშენებლობაზე და ითვალისწინებს იპოთეკურ კრედიტებზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის სუბსიდირებას სესხის გაცემიდან 60 თვის მანძილზე, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს გამოკლებული

- 3.5%, მაგრამ არაუმეტეს 6%-ის ოდენობით - თუ მსესხებელს ჰყავს 1 ან 2 შვილი,
- 1.5%, მაგრამ, არაუმეტეს 8%-ის ოდენობით - თუ მსესხებელს ჰყავს 3 ან მეტი შვილი;

სუბსიდირებული იპოთეკური სესხის მიმდინარე პროგრამაში 2023 წელს 1,098 განაცხადი დადასტურდა, რომლებზე დამტკიცებული სესხის მოცულობა 136 მლნ ლარამდეა.

ცხრილი 9. იპოთეკური სესხის მოცულობის შეჯამება (2021-2023)

სესხების თანადაფინანსება	2021	2022	2023
სესხების ჯამური რაოდენობა	1,222	3,061	1,098
მათ შორის, მარტოხელა მშობლებზე დამტკიცებული სესხების რაოდენობა	17	186	101

ქვრივებზე დამტკიცებული სესხების რაოდენობა	6	15	-
დამტკიცებული სესხების მოცულობა (მლნ ლარი)	135	345	136

პროგრამაში ჩართული იპოთეკური სესხებიდან ყველაზე მეტი სესხი თბილისსა და აჭარის რეგიონს ეკუთვნის.

ცხრილი 10. იპოთეკური სესხები რეგიონების ჭრილში (2023)

რეგიონი	**სესხების რაოდენობა**	**სესხების მოცულობა (ლარი)**
თბილისი	746	100,991,639
აჭარა	82	9,483,951
იმერეთი	68	6,527,881
შიდა ქართლი	59	4,846,865
ქვემო ქართლი	55	5,296,680
სამცხე-ჯავახეთი	43	4,102,960
მცხეთა-მთიანეთი	15	1,950,780
კახეთი	14	1,120,460
სამეგრელო-ზემო სვანეთი	11	851,230
გურია	4	350,590
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	1	60,140
სულ	**1,098**	**135,583,176**

სუბსიდირებული იპოთეკური სესხის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ყოველთვიურად დადასტურებული სესხებისა და გადარიცხული თანხების მოცულობების დინამიკა მოცემულია გრაფიკ 6-ზე.

გრაფიკი 6. სუბსიდირებული იპოთეკური სესხის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დადასტურებული სესხებისა და გადარიცხული თანხების მოცულობების დინამიკა (2021-2023)



1.6 სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ კინოინდუსტრიის ნაწილი

კინოინდუსტრიის განვითარების ხელშემწყობი პროგრამა ამოქმედდა 2016 წლიდან და მისი მიზანია ადგილობრივი კინოინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობა, უცხოური კინოწარმოების მოზიდვა, ადგილობრივი კინოინდუსტრიის ბაზრის ზრდა, ქვეყნის ტურისტული პოტენციალის განვითარება, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა. დაინტერესებულ ქართველ და უცხოელ მწარმოებლებს შეუძლიათ ისარგებლონ კვალიფიციური ხარჯის[3] 20-25%-ის უკან დაბრუნების პროგრამით.

კინო ინდუსტრიის განვითარების პროგრამის ფარგლებში 2023 წელს გაფორმდა 11 ახალი ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც გასაწევი კვალიფიციური ხარჯის მოცულობა 20 მლნ ლარს აღემატება. პროექტების ფარგლებში შეიქმნება 3,570 დროებითი სამუშაო ადგილი.

ცხრილი 11. კინო ინდუსტრიის სტატისტიკა (2016-2023)

კინო ინდუსტრიის განვითარება	2016-2020	2021	2022	2023

[3] კვალიფიციური ხარჯი – პროგრამის ბენეფიციარის მიერ საქართველოში №2 დანართის შესაბამისად განხორციელებული ხარჯი, თუ ის გაწეულია საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს რეზიდენტის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის ამ პროგრამის ფარგლებში მიწოდებულ მომსახურებაზე (საქონელზე).

პროექტების რაოდენობა	23	1	6	11
კვალიფიციური ხარჯის მოცულობა	84,952,739	505,400	11,259,722	20,645,773
დროებითი სამუშაო ადგილები	14,185	120	3,358	130,149
გაცემული თანხა	18,305,061	130,149	56,711	2,111,474

- სახელმწიფო პროგრამის „გადაიღე საქართველოში“ ფარგლებში კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე 2023 წლის 16-დან 25 მაისის ჩათვლით მოხდა ქართველი რეჟისორებისა და პროდიუსერების წარდგენა, ასევე, ქართული პავილიონის დაქირავება (საქართველოს ეროვნულ კინოცენტრთან პარტნიორობით). აღნიშნულ სივრცეში გაიმართა შეხვედრები საერთაშორისო კინო კომპანიებსა და პროდუსერებთან;
- 2023 წლის 22 მაისს, ქართული ფილმების გაყიდვების ზრდისა და კომერციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, კანის საერთაშორისო კინოფესტივალის ოფიციალური მარკეტის ფარგლებში გაიმართა ორი ქართული ფილმის „სად მიდის ლიზა“ და „ჰაერი ლურჯი აბრეშუმია“ ჩვენება, რომლებზეც მოწვეული იყვნენ საერთაშორისო გაყიდვების კომპანიები და ე.წ. „ბაიერები“.
- 2023 წლის 12-დან 15 ივნისის ჩათვლით ქართველი ანიმატორები წარდგენილი იყვნენ ანესის საერთაშორისო კინოფესტივალზე საქართველოს ოფიციალური სტენდით. მათ საშუალება ჰქონდათ, გაცნობოდნენ მსოფლიოს უახლეს ტენდენციებსა და შესაძლებლობებს.
- 1-5 მაისის ჩათვლით, ქართველი კინო მწარმოებლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გაიმართა 5 დღიანი ინტენსიური ტრენინგები პროდიუსინგისა და ლოკაციების მენეჯმენტის მიმართულებით, რომლებსაც უძღვებოდნენ ჰოლივუდის წამყვანი პროფესიონალები. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ქართული საპროდიუსერო კომპანიების 21-მა წარმომადგენელმა აიმაღლა კვალიფიკაცია.
- 2023 წლის 1-5 ნოემბრის ჩათვლით სახელმწიფო პროგრამის „გადაიღე საქართველოში“ მხარდაჭერით საქართველო წარდგენილი იყო ოფიციალური სტენდით ამერიკის კინო მარკეტზე, სადაც კინოინდუსტრიის ქართველ წარმომადგენლებს საშუალება მიეცათ, დაემყარებინათ კონტაქტი საერთაშორისო პროდუსერებთან.
- 2023 წელს დაინერგა „გადაიღე საქართველოში“ პროგრამის განახლებული სოფტი, რომლის გამოყენებითაც ბენეფიციარს შეუძლია ყველა სახის დოკუმენტაცია და გადაღებების მსვლელობის შესახებ ინფორმაცია წარმოადგინოს ონლაინ.

1.7 მენეჯერთა გადამზადების პროგრამა - Partnering in Business with Germany

სააგენტო "აწარმოე საქართველოში", გერმანიის ეკონომიკისა და ენერგეტიკის სამინისტროსთან თანამშრომლობით და GIZ-ის მხარდაჭერით, ახორციელებს მენეჯერთა

გადამზადების პროგრამას, რომლის მიზანია, საერთაშორისო ვაჭრობის შესაძლებლობების განვითარება მცირე და საშუალო ბიზნესისთვის.

პროგრამა მოიცავს როგორც ტრენინგებს, ასევე ვიზიტებს გერმანულ კომპანიებში და ინდივიდუალურ შეხვედრებს ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლებთან.

პროგრამის ძირითადი მიზნებია:

- გერმანიის ბიზნეს მენეჯმენტის პრაქტიკისა და გერმანული ბიზნეს კულტურის გაცნობა;
- გერმანიაში უახლესი მწვანე ტექნოლოგიების, წარმოების სისტემებისა და სერვისების გაცნობა;
- გრძელვადიანი ბიზნეს პარტნიორობის ფორმირება გერმანულ კომპანიებთან;
- საერთაშორისო ბიზნეს ურთიერთობებისა და მოლაპარაკების უნარების განვითარება;
- თანამედროვე ტექნოლოგიებისა და დანადგარების შესახებ ინფორმაციის მიღება.

პროგრამა ხორციელდება 2016 წლიდან და 2023 წლის მდგომარეობით გადამზადებულია 214 მენეჯერი.

2023 წელს, პროგრამის ფარგლებში 15-20 მეწარმით დაკომპლექტებული 4 ჯგუფი გაემგზავრა გერმანიის სხვადასხვა ქალაქში (ლაიფციგი, ბონი, კიოლნი, აახენი). 2023 წელს ჯამში გადამზადდა 85 მენეჯერი.

1.8 შეხვედრები კომპანიებთან

2023 წლის განმავლობაში სააგენტოსა და ასევე, საერთაშორისო, არასამთავრობო ორგანიზაციების და საქართველოს პარლამენტის ჩართულობით, ჯამში ჩატარდა 31 შეხვედრა თბილისსა და საქართველოს რეგიონებში. შეხვედრები ჩატარდა სხვადასხვა ბიზნეს სექტორის და კლასტერის წარმომადგენლებთან, სადაც მონაწილეებს ინფორმაცია მიეწოდათ სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამების შესახებ. აღნიშნული შეხვედრები, ასევე მიზნად ისახავდა სახელმწიფო პროგრამების შესახებ ცნობადობის ამაღლებას, სექტორებში არსებული გამოწვევების მიმოხილვასა და კითხვა-პასუხის ფორმატში პანელურ დისკუსიას, შემდგომში მათი მხარდაჭერისა და გადაჭრის მიზნით.

2. მიკრო მეწარმეობის განვითარების დეპარტამენტი

მიკრო მეწარმეობის განვითარების დეპარტამენტი აერთიანებს სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის (მიკრო გრანტები), რეგიონული საკონსულტაციო ცენტრების და მომსახურების ცენტრის (სამსახური) საქმიანობებს. მიკრომეწარმეობის განვითარების დეპარტამენტის ამოცანები და ფუნქციებია:

ა) დამწყები ბიზნესის განვითარება სახელმწიფო წამახალისებელი პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების გზით;

ბ) სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის ორგანიზება და განხორციელება;

გ) ბენეფიციარებისთვის და დაინტერესებული პირებისთვის კონსულტაციის გაწევა;

დ) პროგრამის ორგანიზების, განხორციელებისა და მართვის მიზნით საინფორმაციო-ტექნოლოგიური უზრუნველყოფის შექმნა და დანერგვა;

ე) დაინტერესებული პირებისთვის ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამების შესახებ ადგილზე და დისტანციური არხების საშუალებით (სატელეფონო ცენტრი და სხვ.) კონსულტაციის გაწევა;

ვ) მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობისათვის სხვა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

2.1 სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილი (მიკრო გრანტები)

მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის მიზანია მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარება, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დამკვიდრება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ახალი ბიზნესის წამოწყებისთვის ან/და არსებული ბიზნესის გადაიარაღებისთვის აუცილებელი ფინანსური მხარდაჭერის და ტექნიკური დახმარების გაწევის გზით.

ფინანსური მხარდაჭერა ითვალისწინებს პოტენციური ბენეფიციარებისათვის მიზნობრივი გრანტის გამოყოფას მაქსიმუმ 30,000 ლარის ოდენობით (საპილოტე რეგიონებში - იმერეთი, გურია, კახეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი მაქსიმუმ 40,000 ლარი). პროექტის ფარგლებში მიღებული დაფინანსების არანაკლებ 90% უნდა იქნას გამოყენებული კაპიტალური დანახარჯების, ხოლო არაუმეტეს 10%-სა საბრუნავი საშუალებების შესაძენად. იმ პოტენციური ბენეფიციარებისათვის, რომლებიც წარმატებით გაივლიან პროგრამის ბიზნესიდეის შერჩევის ეტაპს, პროგრამა ასევე ითვალისწინებს ტექნიკური დახმარების კომპონენტს, რაც მოიცავს ტრენინგების ჩატარებას ისეთ საკითხებში, როგორიცაა ზოგადი მეწარმეობა, ბიზნეს გეგმის შედგენა, სოციალური და გარემოს დაცვითი საკითხები, გენდერული თანასწორობა, ბიზნესის გაციფრულება, გადასახადები, მათი არსი და მარეგულირებელი კანონმდებლობა, შესყიდვები და პროცედურები, იურიდიული სამართლებრივი ფორმები, დეკლარაციის შევსება და სხვა.

2015-2023 წლებში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 9,349 პროექტი. აღნიშნულ პროექტებში სულ ჩართული იყო 12,521 ბენეფიციარი, რომელთაგანაც 5,347 ქალია. სააგენტოს

მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ჯამურად გაცემულმა თანხის მოცულობამ შეადგინა 115.8 მლნ ლარი, ხოლო ინვესტიციამ 147.7 მლნ ლარს გადააჭარბა. პროგრამის ფარგლებში შეიქმნა 23,000-ზე მეტი სამუშაო ადგილი.
2023 წელს მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 1,140 პროექტი, რომლებზე გადარიცხული თანხის მოცულობამ 24.6 მლნ ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ დაფინანსებული ბენეფიციარების 49.91%-ს წარმოადგენენ ქალი მეწარმეები.

ცხრილი 12. მიკრო გრანტების მიმართულების შეჯამება წლების ჭრილში (2015-2023)

წელი	პროექტების რაოდენობა	ბენეფიციარების რაოდენობა	ქალი ბენეფიციარების რაოდენობა	დასაქმება
2015	608	859	282	1,374
2016	2,596	4,055	1,654	6,488
2017	2,109	3,498	1,411	5,597
2018	899	972	438	1,555
2020	689	689	334	2,432
2022	1,308	1,308	659	3,739
2023	1,140	1,140	569	2,651
სულ	**9,349**	**12,521**	**5,347**	**23,836**

რეგიონების მიხედვით, ყველაზე მეტი მოცულობის გრანტი 2023 წელს გაიცა სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთისა და თბილისის რეგიონებში.

ცხრილი 13. მიკრო გრანტების მიმართულების შეჯამება (2023)

რეგიონი	ქალი	კაცი	სულ	გადარიცხული თანხა	თანამონაწილეობის თანხა	ინვესტიცია
აჭარა	80	42	122	2,876,887	846603.01	3,723,490
გურია	21	27	48	1,057,339	251,839	1,309,178
თბილისი	89	51	140	3,006,007	720,765	3,726,773
იმერეთი	65	94	159	3,193,731	894,979	4,088,710
კახეთი	47	62	109	2,525,778	669,068	3,194,846
მცხეთა-მთიანეთი	33	27	60	1,447,532	493,577	1,941,110
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	64	52	116	2,430,747	500,434	2,931,182
სამეგრელო-ზემო სვანეთი	78	92	170	3,264,786	790,036	4,054,823
სამცხე-ჯავახეთი	26	52	78	1,638,284	411,327	2,049,611
ქვემო ქართლი	20	26	46	1,042,865	261,425	1,304,291

შიდა ქართლი	46	46	92	2,065,488	633,250	2,698,738
სულ	**569**	**571**	**1,140**	**24,549,445**	**6,473,306**	**31,022,751**

სექტორების მიხედვით, პროგრამის არსებობის მთელი პერიოდის მანძილზე, როგორც რაოდენობრივად, ისე მოცულობით, ყველაზე მეტი მიკრო გრანტი გაიცა დამამუშავებელ მრეწველობასა და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფისა და საკვების მიწოდების საქმიანობების სექტორებში.

ცხრილი 14. მიკრო გრანტების მიმართულების შეჯამება სექტორების ჭრილში (2015-2023)

სექტორი	**პროექტების რაოდენობა**	**გადარიცხული თანხა (ლარი)**	**ინვესტიცია (ლარი)**	**დასაქმება**
დამამუშავებელი მრეწველობა	3,681	48,567,598	61,409,390	9,486
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	2,134	29,339,221	37,992,784	5,891
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	1,225	9,592,363	12,524,844	3,189
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	850	9,017,849	11,465,909	1,710
სხვა სახის მომსახურება	453	5,653,432	7,086,381	1,025
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	236	3,956,089	4,943,743	532
განათლება	149	2,059,618	2,571,261	412
ხელოვნება, გართობა და დასვენება	141	2,115,804	2,715,772	412
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	134	1,718,004	2,138,064	378
მშენებლობა	112	1,282,656	1,610,019	257
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	91	718,573	942,878	178
ტრანსპორტი და დასაწყობება	91	872,370	1,182,800	237
ინფორმაცია და კომუნიკაცია	46	797,084	991,357	110
სამთომოპოვებითი მრეწველობა	4	31,744	40,199	11
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	1	35,000	55,000	4
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	1	10,000	16,840	5
სულ	**9,349**	**115,767,404**	**147,687,240**	**23,836**

პროგრამის არსებობის სრული პერიოდის მანძილზე გაცემული გრანტებისა და პროექტების ფარგლებში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა წლების მიხედვით მოცემულია გრაფიკ 7-ზე.

გრაფიკი 7. მიკრო გრანტების მიმართულების ფარგლებში გადარიცხული თანხა (მლნ ლარი) და ინვესტიცია (ლარი), (2015-2023)



2023 წელს სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ დაფინანსებულ, რეგიონებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პროექტთან (RSMEDP) პარტნიორობით მიკრო გრანტების 2018 და 2020 წლების გამარჯვებული და წარმატებული ბენეფიციარებისთვის განახორციელდა განვითარების **ე.წ. Graduation პროგრამა.** პროგრამის მიზანია მაღალი ზრდის პოტენციალის მქონე ბენეფიციარების მხარდაჭერა ბიზნესის განვითარების და დამატებითი ფინანსური სახსრების მოზიდვის მიზნით.

აღნიშნული გულისხმობს მცირე მეწარმეების მხარდაჭერას ფინანსური სერვისების მიწოდებით და ციფრული უნარების გაუმჯობესების ხელშეწყობით.

პროგრამაში მონაწილეობა 58 მეწარმემ მიიღო. პროგრამაში ჩართული იყო 6 ბუღალტრული და ფინანსური სერვისის განმახორციელებელი კომპანია (Accounting Service Providers – ASPs), რომლებიც თანამშრომლობდნენ შერჩეულ ბენეფიციარებთან.

განვითარების ე.წ. Graduation პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ტრენინგების სერია „Be Digital”, რომელიც შერჩეულ ბენეფიციარებს ციფრული უნარების გაუმჯობესებაში ეხმარება. აღნიშნულ ტრენინგებში 78 მიკრო-მეწარმემ მიიღო მონაწილეობა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან.

2.2 რეგიონული საკონსულტაციო ცენტრები

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ რეგიონული საკონსულტაციო ცენტრები წარმოადგენს მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის და რეაბილიტაციის პროექტის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს.
საკონსულტაციო ცენტრები მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს სთავაზობს შესაძლებლობას, მიიღონ საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურება. ცენტრში მეწარმეს შეუძლია გაიაროს ინდივიდუალური კონსულტაცია ცენტრის თანამშრომელთან და სრულყოფილი ინფორმაცია მიიღოს ქვეყანაში მიმდინარე ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამების შესახებ. მეწარმეს ასევე აქვს შესაძლებლობა სიღრმისეული ბიზნეს-დიაგნოსტიკის გავლის შედეგად, უკეთ გაიგოს საკუთარი ბიზნესის საჭიროებები. დიაგნოსტიკით გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით, მეწარმეს შეუძლია ისარგებლოს ცენტრში შეთავაზებული საკონსულტაციო მომსახურებით და ამავე მომსახურების თანადაფინანსებით ან/და დაესწროს შესაბამის ტრენინგს/სემინარს, რაც ხელს შეუწყობს მის სამეწარმეო საქმიანობას. ცენტრის წევრ მეწარმეებს შეეძლებათ დაამყარონ კონტაქტები თავიანთი სექტორის ან ღირებულებათა ჯაჭვის სხვა წარმომადგენლებთან, თავისუფლად ისარგებლონ ცენტრებში განთავსებული საერთო სამუშაო სივრცით, და/ან დაესწრონ ცენტრში დაგეგმილ სხვადასხვა ინფორმაციულ თუ საგანმანათლებლო ღონისძიებას.

რეგიონული საკონსულტაციო ცენტრის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს:

საკონსულტაციო მომსახურება, რომელიც გულისხმობს ბიზნესის სიღრმისეულ დიაგნოსტიკას, არსებული პრობლემების დადგენას, საკონსულტაციო მომსახურების შერჩევას, მის მიწოდებას და ამ მომსახურების 90%-მდე თანადაფინანსებას შემდეგი ექვსი ძირითადი მიმართულებებით:

- გაყიდვები და მარკეტინგი
- საგადასახადო საკითხები
- იურიდიული საკითხები
- ფინანსები და ბუღალტერია
- ბიზნეს მოდელირება და სტრატეგიის დაგეგმვა
- გაციფრულება

ბიზნეს უნარების გაუმჯობესების მიმართულების ფარგლებში მეწარმეებს აქვთ შესაძლებლობა, ისარგებლონ საჭიროებებზე მორგებული სამუშაო შეხვედრებისა და ტრენინგებით, ასევე ბიზნეს შეხვედრებითა და მენტორული სესიებით.

საინფორმაციო მხარდაჭერა, რომელიც გულისხმობს მეწარმესთვის მიმდინარე ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებას და მეწარმის საქმიანობის შესაბამისი უახლესი ინფორმაციით უზრუნველყოფას.

2023 წლის ივნისში, გაიხსნა პირველი საკონსულტაციო ცენტრი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში და მუშაობდა საპილოტე რეჟიმში ინფორმაციის მიწოდების მიმართულებით. წლის განმავლობაში რეგიონული საკონსულტაციო ცენტრის წარმომადგენლების მიერ

განხორციელდა სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო შეხვედრები, მათ შორის, რეგიონის 600-ზე მეტ მეწარმესთან და 40-მდე ადგილობრივი საჯარო და კერძო ორგანზიაციების წარმომადგენლებთან. ასევე, აღნიშნულმა რეგიონულმა საკონსულტაციო ცენტრმა ოფისში მიიღო და კონსულტაცია გაუწია 300-ზე მეტ ვიზიტორს.
საკონსულტაციო მომსახურების მიმართულებით, 2023 წელს განხორციელდა შესყიდვა მსოფლიო ბანკის წესით - Multi-User Framework Agreement for Consulting Services (QBS Selection) 6 სხვადასხვა მიმართულებით (გაყიდვები და მარკეტინგი, საგადასახადო საკითხები,იურიდიული საკითხები, ფინანსები და ბუღალტერია, ბიზნეს მოდელირება და სტრატეგიის დაგეგმვა, გაციფრულება). აღნიშნული პროცესები დასრულდა ნოემბრის ბოლოს და სააგენტომ 5 მიმართულებით 25 ჩარჩო ხელშეკრულება (Framework Agreement) გააფორმა 16 სხვადასხვა საკონსულტაციო კომპანიასთან. საკონსულტაციო მომსახურების მიმართულებით შემუშავებულია 20 საკონსულტაციო მომსახურების პაკეტი.
ბიზნეს უნარების გაუმჯობესების მიმართულების ფარგლებში, მსოფლიო ბანკის შესყიდვის მეთოდოლოგიით ხელშეკრულება გაფორმდა შპს ბიდიო კონსალტინგთან, რის შემდეგაც განხორციელდა 8 მიმართულებით (ბიზნეს მოდელირება, ადამიანური რესურები, გაყიდვები, გაციფრულება, მარკეტინგი, იურიდიული მომსახურება, საგადასახადო საკითხები, ფინანსური აღრიცხვა) სატრენინგო და სამუშაო შეხვედრების მასალების შემუშავება.
2023 წლის ბოლოს დაიწყო დამატებით ორი ახალი რეგიონული საკონსულტაციო ცენტრის - ოფისების სარემონტო სამუშაოები ქალაქ ბათუმსა და თელავში, რომლებიც 2024 წლიდან აჭარის და კახეთის რეგიონების მეწარმეებს მოემსახურება.

2.3 მომსახურების ცენტრი (სამსახური)

მომსახურების ცენტრის (სამსახური) ამოცანები და ფუნქციებია:

ა) დაინტერესებული პირებისთვის სახელმწიფოს ხელშემწყობი პროგრამების შესახებ ადგილზე
და დისტანციური არხების საშუალებით (სატელეფონო ცენტრი და სხვ.) კონსულტაციის გაწევა;
ბ) დაინტერესებული პირების მხრიდან შესაბამის მომართვაზე ინფორმაციის მოძიება და მიწოდება;
გ) სატელეფონო გამოკითხვების განხორციელება;
დ) გაწეული კონსულტაციების შესახებ ანგარიშგებების მომზადება და შესაბამისი სამსახურებისათვის მიწოდება;
ე) სააგენტოს ელექტრონულ მისამართზე შემოსული კორესპონდენციის მართვა.

სააგენტოს მომსახურების ცენტრი აერთიანებს შემდეგ მომსახურების არხებს:

- სატელეფონო ცენტრი (Call Center);
- ონლაინ ჩატი (live chat);
- ფეისბუქ ჩატი (Fb chat);
- ელექტრონული ფოსტა (E-mail);

სატელეფონო ცენტრის ეფექტური მუშაობის უზრუნველსაყოფად, ფუნქციონირებს პროგრამა "კლიენტებთან ურთიერთობის მენეჯმენტი" (CRM). პროგრამა თვლის სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიერ გაწეულ კონსულტაციებს და წარმოადგენს „Case Management System"-ის ინსტრუმენტს შემდეგი მომსახურების საფუძველზე:

- შემოსული და გამავალი ზარების მონიტორინგი;
- აუდიო ჩაწერა;
- გადასაჭრელი და პრიორიტეტული საკითხების იდენტიფიკაცია და სისტემატიზაცია;
- ანგარიშგების მენეჯმენტი სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით, როგორებიცაა ბენეფიციარების ეკონომიკური საქმიანობა, რეგიონული დაყოფა, ოპერატორის პორტფოლიო და სხვა.

სააგენტოს მომსახურების ცენტრში სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით 2023 წელს დაფიქსირდა მომართვიანობის 40,678 შემთხვევა. აღნიშნული მოიცავს: შემოსულ ზარებს, გასულ ზარებს, ონლაინ ჩატს, ფეისბუქ ჩატს და ელექტრონულ ფოსტას.

ცხრილი 15. მომსახურების ცენტრის მიმართვიანობა

მომსახურების ცენტრი	**2019**	**2020**	**2021**	**2022**	**2023**
სულ მომართვიანობა	**19,148**	**50,398**	**28,580**	**40,656**	**40,678**
შემოსული და გასული ზარი	13,203	28,448	18,071	27,549	25,121
ონლაინ და ფეისბუქ ჩატი	4,288	16,285	6,394	7,432	7,547
ელექტრონული ფოსტა	1,657	5,665	4,115	5,675	2,109

მომსახურების ცენტრმა ყველა დაინტერესებულ მხარეს მიაწოდა საჭირო ინფორმაცია შემდეგი სააგენტოების მომსახურებაზე/პროექტებზე:

- სააგენტო „აწარმოე საქართველოში“;
- სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო;
- საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო;
- სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტო;
- საპარტნიორო ფონდი.

3. ექსპორტის დეპარტამენტი

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ექსპორტის მიმართულების მიზანია ექსპორტის სტიმულირება, ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა და ქვეყნის საექსპორტო პროდუქციის პოპულარიზაცია საერთაშორისო ბაზრებზე. ამ მიზნით სააგენტოს ექსპორტის დეპარტმანეტი აერთიანებს სამ ძირითად მიმართულებას: საერთაშორისო გამოფენებისა და სავაჭრო მისიების ორგანიზება და კომპანიების მონაწილეობის ხელშეწყობა; საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, ექსპორტის სტიმულირების ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამა და ექსპორტის მენეჯერთა სასერთიფიკატო კურსის ორგანიზება.

გარდა აღნიშნულისა, დეპარტამენტი ადმინისტრირებას უწევს პლატფორმა TradewithGeorgia.com-ს, სადაც ექსპორტზე ორიენტირებულ კომპანიებს შეუძლიათ განათავსონ ინფორმაცია საკუთარი კომპანიისა და პროდუქციის შესახებ. ასევე დეპარტამენტის მხარდაჭერით შემუშავდა უფასო ონლაინ ტრენინგები ექსპორტის საბაზისო საკითხებზე, რომელიც ხელმისაწვდომია ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიებისთვის.

ექსპორტის დეპარტამენტის ამოცანები და ფუნქციებია:

ა) საექსპორტო პოტენციალის მქონე სექტორების იდენტიფიცირება, მხარდაჭერა და ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა;

ბ) საექსპორტო პოტენციალის მქონე სექტორების და კომპანიების პორტფელის შექმნა, კატეგორიებად დაყოფა და მართვა;

გ) საერთაშორისო მიზნობრივი ბაზრების იდენტიფიცირება, ბაზრებზე შეღწევადობის და დამკვიდრების მიზნით, სტრატეგიის შემუშავება და შესაბამისი აქტივობების განხორციელება;

დ) ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის განვითარების მიზნით, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დონორებთან, ბიზნესასოციაციებთან, პროფესიულ გაერთიანებებთან, საგანმანათლებლო და სხვა შესაბამის ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

ე) ქართული პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით, საერთაშორისო გამოფენებისა და სავაჭრო მისიების ორგანიზება და/ან მონაწილეობის ხელშეწყობა;

ვ) ქვეყანაში ექსპორტის შემაფერხებელი ფაქტორების იდენტიფიცირება, მათი აღმოფხვრის მიზნით, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობა;

ზ) ადგილობრივი პროდუქტების და სერვისების საერთაშორისო და ადგილობრივ ბაზარზე კონკურენტუნარიანობის შეფასება და დადებითი რეპუტაციის დამკვიდრების ხელშეწყობა.

3.1 საერთაშორისო გამოფენებში/ღონისძიებებში მონაწილეობის ორგანიზება

ექსპორტის დეპარტამენტის ერთ–ერთ ძირითად მიმართულებას საერთაშორისო გამოფენებში/ღონისძიებებში საქართველოში არსებული სხვადასხვა სექტორის წარმომადგენელი კომპანიების მონაწილეობის ორგანიზება და მათი თანადაფინანსება წარმოადგენს. აღნიშნული პროგრამა ხელს უწყობს ქართული კომპანიების მონაწილეობას საერთაშორისო/ადგილობრივ ღონისძიებებში ახალ პარტნიორებთან დაკავშირების და საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირების მიზნით.

2023 წელს ექსპორტის დეპარტამენტმა მხარი დაუჭირა ქართული კომპანიების 19 საერთაშორისო ღონისძიებაში მონაწილეობას. აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში სააგენტოს მხრიდან განხორციელდა თანადაფინანსების 219 ფაქტი, მხარი დაეჭირა 149 კომპანიას, ხოლო ღონისძიებებებზე გადარიცხული თანხების მოცულობამ შეადგინა 7.7[4] მილიონი ლარი.

ცხრილი 16. განხორციელებული საერთაშორისო საექსპორტო ღონისძიებები 2019-2023 წლებში

საერთაშორისო საექსპორტო ღონისძიება	**2019**	**2020**	**2021**	**2022**	**2023**
ღონისძიებების რაოდენობა	15	11	9	20	19
თანადაფინანსების ფაქტების რაოდენობა	167	68	62	142	219
ბენეფიციართა რაოდენობა	120	49	45	89	149

სექტორების ჭრილში, 2023 წელს თანადაფინანსების ფაქტების 49% მოდის საკვებისა და სასმელის წარმოების, 39% - ტანსაცმლისა და აქსესუარების, ხოლო დანარჩენი 12% – სათამაშოების, შესაფუთი მასალების, განახლებადი ენერგიის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა (ICT) და ვეტერინარია-ცხოველთა საკვები დანამატების სექტორებზე.

ცხრილი 17. თანადაფინანსების ფაქტები სექტორების მიხედვით 2019-2023 წლებში

თანადაფინანსების ფაქტები სექტორის მიხედვით	**2019**	**2020**	**2021**	**2022**	**2023**
საკვები და სასმელი	103	19	30	56	107
ტანსაცმელი და აქსესუარები	55	49	30	71	85
სხვა	9	-	2	15	27
სულ	**167**	**68**	**62**	**142**	**219**

ადგილმდებარეობის მიხედვით, ღონისძიებების 62% ჩატარდა ევროპის რეგიონში, 14% კი აზიაში. ღონისძიებების განაწილება რეგიონებისა და სექტორების მიხედვით იხილეთ ცხრილ 18-ში.

[4] მონაცემი მოიცავს 2023 წლის ღონისძიებებზე გადარიცხული თანხების მოცულობას, როგორც 2023, ასევე 2022 წელს.

ცხრილი 18. განხორციელებული საერთაშორისო საექსპორტო ღონისძიებები ჩატარების ადგილმდებარეობისა და სექტორის მიხედვით (2023)

ღონისძიება	კომპანიების რაოდენობა	სექტორი	ადგილმდებარეობა
China International Import Expo	38	საკვები და სასმელი / ტანსაცმელი და აქსესუარები	ჩინეთი
Gulfood	25	საკვები და სასმელი	არაბთა გაერთიანებული საამიროები
Anuga	23	საკვები და სასმელი	გერმანია
Fashion Week FW	18	ტანსაცმელი და აქსესუარები	იტალია, საფრანგეთი, ჩინეთი
Fancy Food Summer Edition	16	საკვები და სასმელი	აშშ
Fashion Week SS	14	ტანსაცმელი და აქსესუარები	საფრანგეთი, იაპონია, ჩინეთი
International Food&Drink Expo (IFE)	12	საკვები და სასმელი	დიდი ბრიტანეთი
Pitti Immagine Bimbo Summer Show	10	ტანსაცმელი და აქსესუარები	იტალია
Playtime Paris Summer Show	10	ტანსაცმელი და აქსესუარები	საფრანგეთი
Spielwarenmesse	9	სათამაშოები	გერმანია
MICAM&MIPEL MILANO Fall	8	ტანსაცმელი და აქსესუარები	იტალია
Pitti Immagine Bimbo Winter Show	7	ტანსაცმელი და აქსესუარები	იტალია
Interpack	6	შესაფუთი მასალები	გერმანია
MICAM&MIPEL MILANO Winter	6	ტანსაცმელი და აქსესუარები	იტალია
VIV MEA	6	ვეტერინარია და ცხოველთა საკვები დანამატები	არაბთა გაერთიანებული საამიროები
Web Summit	5	საინფორმაციო ტექნოლოგიები (ICT)	პორტუგალია
Playtime Paris Winter Show	4	ტანსაცმელი და აქსესუარები	საფრანგეთი
INTERSOLAR North America	1	განახლებადი ენერგია	აშშ
Las Vegas Couture show	1	ტანსაცმელი და აქსესუარები	აშშ

3.2 ექსპორტის მენეჯერთა გადამზადება

სააგენტო ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიების თანამშრომლებს სთავაზობს ექსპორტის მენეჯერთა სასერთიფიკატო კურსებს. კურსი შედგება ექსპორტზე ორიენტირებული

მოდულებისგან და მიზნად ისახავს ექსპორტის მენეჯერთა კვალიფიკაციის ამაღლებას და გადამზადებას.
2023 წლის განმავლობაში სააგენტომ 3-ჯერ განახორციელა ექსპორტის მენეჯერთა სასერტიფიკატო კურსი თბილისში, თელავსა და ზუგდიდში. აღნიშნულ კურსებს დაესწრო 60 პირი.

ცხრილი 19. ექსპორტის მენეჯერთა სასერთიფიკატო კურსები 2019-2023 წლებში

ექსპორტის მენეჯერთა სასერთიფიკატო კურსი	2019	2021	2022	2023
ჩატარებული კურსების რაოდენობა	3	3	4	3
გადამზადებულ მენეჯერთა რაოდენობა	65	71	82	60

3.3 ექსპორტის სტიმულირების პროგრამა

ტექნიკური დახმარების კომპონენტი მიზნად ისახავს ექსპორტზე ორიენტირებული მცირე და საშუალო ბიზნესის საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობას. ექსპორტის სტიმულირების ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამა, მოიცავს სამ კომპონენტს:

- პროდუქტის ლიცენზირება/სერტიფიცირება
- ბრენდინგი/პროდუქციის შეფუთვა
- საერთაშორისო ქსელში შესვლა

პროგრამის პირველი ეტაპი ჩატარდა 2022 წელს. 2023 წელს პროგრამაში შევიდა შემდეგი ცვლილებები:

- ექსპორტზე ორიენტირებულ ან ექსპორტიორ კომპანიას სააპლიკაციო ფორმის შევსება შეუძლია მთელი წლის განმავლობაში პროგრამით გათვალისწინებული ბიუჯეტის ამოწურვამდე;
- გაფართოვდა პროგრამის ეკონომიკური საქმიანობების დაფარვის ზონა და საქმიანობების ჩამონათვალს დაემატა: ყავის გადამუშავება, სამშენებლო მასალების წარმოება, ლითონის კონსტრუქციებისა და ელექტრონული კომპონენტების წარმოება;
- სერტიფიცირება/ლიცენზირების ქვე-კომპონენტში ბენეფიციარებს განესაზღვრათ გახანგრძლივებული, 24-თვიანი ვადა სერტიფიკატის/ლიცენზიის წარმოსადგენად;
- არსებული ბენეფიციარი, ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემდეგ, განაცხადის გაკეთებას ხელახლა შეძლებს (ბრენდინგის ქვე-კომპონენტის გარდა).

3.4 სხვა ადგილობრივი პროექტები

2023 წლის განმავლობაში ექსპორტის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ადგილობრივი პროექტი:

- 2023 წლის მდგომარეობით, ქვეყნის საექსპორტო პლატფორმაზე www.tradewithgeorgia.com რეგისტრირებულ პირთა რაოდენობა გაიზარდა 850-მდე.
- 2022-2023 წლებში სააგენტოს "აწარმოე საქართველოში" ინიცირებით, USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის მხარდაჭერითა და სოფლის განვითარების სააგენტოსთან პარტნიორობით განხორციელდა პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ქართველი აგროკომპანიები გერმანიასა და სპარსეთის ყურის ქვეყნებში არსებული დაინტერესებული მყიდველებს დაუკავშირდნენ. პროგრამაში მონაწილეობისთვის შეირჩა ლურჯი მოცვისა და კაკლოვანი კულტურების მწარმოებელი და სურსათის გადამამუშავებელი ექსპორტზე ორიენტირებული 80-მდე საწარმო. აღნიშნული პროგრამის შედეგად 2023 წელს განხორციელდა 36 ტონა მოცვისა და 22 ტონა თხილის ექსპორტი გერმანიის ბაზარზე. პროგრამა დასრულდა 2023 წლის ოქტომბერში. ასევე, 2023 წლის აპრილში USAID/Invest-ის პროგრამის მხარდაჭერით განხორცილდა ზემოთ ხსენებული პროგრამის – უცხოელ შემყიდველებთან დაკავშირების, იგივე Lead Generation Program-ის, რეპლიკაცია არასასოფლო-სამეურნეო სამიზნე სექტორებისთვის, როგორიცაა ტანსაცმელი, მათ შორის ბავშვის ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ტყავი და ტყავის პროდუქტები, სათამაშოები, შესაფუთი მასალები და სხვა. პროგრამა გაგრძელდება 2024 წლის ივნისამდე.
- ექსპორტის დეპარტამენტმა კონსულტაცია გაუწია 900-მდე დაინტერესებულ პირს ექსპორტთან დაკავშირებულ საკითხებში, როგორც სატელეფონო, ისე ელ.ფოსტის და ინდივიდუალური შეხვედრების გზით.

4. ინვესტიციების დეპარტამენტი

სააგენტოს ინვესტიციების მიმართულება წარმოადგენს ერთგვარ მედიატორს უცხოელ ინვესტორებსა და საქართველოს მთავრობას შორის, მუშაობს „ერთი ფანჯრის პრინციპით“ და ეხმარება დაინტერესებულ ინვესტორებს სხვადასხვა ინფორმაციის მიღებასა და ქართულ მხარესთან ეფექტური კომუნიკაციის წარმოებაში. ინვესტიციების დეპარტამენტის ამოცანები და ფუნქციებია:

ა) პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, საქართველოში არსებული საინვესტიციო პროექტების მხარდაჭერა და რეინვესტირების ხელშეწყობა;

ბ) საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის შესწავლა და პრიორიტეტული სექტორების იდენტიფიცირება;

გ) ქვეყნის საინვესტიციო გარემოს პოპულარიზაციისა და საერთაშორისო საინვესტიციო რეიტინგებში ქვეყნის ცნობადობის ამაღლების მიზნით, სტრატეგიის შემუშავება და შესაბამისი აქტივობების განხორციელება;

დ) ქვეყნის საინვესტიციო გარემოს პოპულარიზაციისა და საინვესტიციო პროექტების შეთავაზების მიზნით, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ არსებულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ინვესტორებთან, დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან, დონორებთან, ბიზნეს ასოციაციებთან და შესაბამის ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

ე) პოტენციური ინვესტორი პირებისა და ორგანიზაციების საინვესტიციო პრეზენტაციებით და საკონსულტაციო-სარეკომენდაციო მომსახურებით უზრუნველყოფა;

ვ) პრიორიტეტული სექტორების და პოტენციური ინვესტორი კომპანიების იდენტიფიცირება, აღრიცხვა შესაბამის ბაზაში და კომპეტენციის ფარგლებში, მოლაპარაკებების წარმოება;

ზ) საინვესტიციო პროექტების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, შესაბამის სტრუქტურებთან თანამშრომლობა, მოლაპარაკებების კოორდინირება და პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგი.

4.1 საინვესტიციო პოტენციალის ცნობადობის ზრდა

საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის ცნობადობის ზრდის მიმართულებით დეპარტამენტმა 2023 წელს განახორციელა შემდეგი აქტივობები:

- სააგენტოს ინიციატივით ჩატარდა მასშტაბური კამპანია გლობალურ მედია გიგანტ Bloomberg-თან ერთად, რომლის ფარგლებშიც საქართველოზე, როგორც საინვესტიციო

ლოკაციაზე გავრცელდა სატელევიზიო და სოციალური მედიის რეკლამები. მხოლოდ სოციალური მედიის საშუალებით საქართველოს შესახებ რეკლამები ჯამში 15 მილიონზე მეტმა ადამიანმა ნახა.

- საქართველოს შესახებ გლობალურ გამოცემებში გამოქვეყნდა 23 სტატია/ანგარიში.
- სამიზნე კომპანიებთან შეხვედრის მიზნით, სააგენტოს წარმომადგენლები დაესწრნენ 20 ღონისძიებას და ორგანიზება გაუწიეს 8 Roadshow-ს. ღონისძიებების ფარგლებში შეხვედრები გაიმართა 1,000-მდე კომპანიასთან.
- სააგენტოსთან თანამშრომლობით, საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიებმა OCO Global-მა და Wavteq 1500-ზე მეტ კომპანიას გააცნეს საქართველოს საინვესტიციო გარემოს შესახებ ინფორმაცია და შედეგად საკონფერენციო ზარი განხორციელდა 30-მდე პოტენციურ კომპანიასთან.
- გაიმართა ლოკაციის სკაუტების გაცნობითი ორი ტური, რომლებშიც 8 კონსულტანტმა მიიღო მონაწილეობა.

4.2 საინვესტიციო პროექტები

2023 წელს სააგენტოს ხელშეწყობით დაიწყო 7 ახალი საინვესტიციო პროექტის განხორციელება, რომელთა დაგეგმილი ჯამური ღირებულება 258.5 მილიონი აშშ დოლარია და ითვალისწინებს 950 ახალი სამუშაო ადგილის შექმნას.

ცხრილი 20. საინვესტიციო პროექტების სტატისტიკა (2023)

ქვეყანა	სექტორი	ახალი სამუშაო ადგილები
არაბთა გაერთიანებული საემიროები	ენერგეტიკა	50
აშშ	ბიზნეს პროცესების აუთსორსინგი (BPO)	200
აშშ	საინფორმაციო ტექნოლოგიები (IT)	50
გერმანია	წარმოება	50
ლიეტუვა	გლობალური ბიზნეს სერვისები (GBS)	100
საფრანგეთი	ბიზნეს პროცესების აუთსორსინგი (BPO)	200
სინგაპური	წარმოება	300

5. ფინანსური პროცესებისა და რისკების მართვის დეპარტამენტი

ფინანსური პროცესებისა და რისკების მართვის დეპარტამენტის ამოცანები და ფუნქციებია:

ა) მეწარმეობის ხელშემწყობი პროგრამების ბიუჯეტის განკარგვის პროცედურების შემუშავება და აღსრულება;

ბ) სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ფინანსური ინსტიტუტების მიერ მოთხოვნილი თანხების შემოწმება და საბანკო გადარიცხვების ინიცირება;

გ) სახელმწიფო პროგრამების ბიუჯეტის განკარგვასთან დაკავშირებული რისკების ინდეტიფიცირება და პრევენციული ზომების შემუშავება;

დ) სახელმწიფო პროგრამებში ჩართულ ფინანსურ ორგანიზაციებთან ინფორმაციის გაცვლის ფორმის, მასთან დაკავშირებული პროცესების დანერგვა და ადაპტაცია;

ე) პროცესების ეფექტიანად აღსრულების მიზნით, სახელმწიფო პროგრამებში ჩართულ ფინანსურ ორგანიზაციებთან ეფექტური კომუნიკაციის წარმოება;

ვ) სახელმწიფო პროგრამების აღსრულების ეფექტურობის გაზრდის მიზნით ცვლილებების შემუშავება და ინიცირება;

ზ) მიმდინარე სახელმწიფო პროგრამებთან დაკავშირებული ანგარიშების წარმოება და წარდგენა;

თ) პროგრამის ორგანიზების, განხორციელებისა და მართვის მიზნით საინფორმაციო-ტექნოლოგიური უზრუნველყოფის შექმნა და დანერგვა;

ი) პროგრამების ეფექტურად განხორციელებისთვის სხვა დამატებითი ღონისძიებების განხორციელება.

კერძოდ, დეპარტამენტი ახორციელებს შემდეგი პროგრამების მართვას: სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული და უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილები, სახელმწიფო პროგრამა საკრედიტო საგარანტიო სქემა, სახელმწიფო პროგრამები - „იპოთეკური კრედიტის მხარდაჭერის მექანიზმი“ და „სუბსიდირებული იპოთეკური სესხი“ და მოკლევადიანი სახელმწიფო პროგრამები.

- სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილის მართვა:
    - 2023 წელს ფინანსური პროცესებისა და რისკების მართვის დეპარტამენტის მიერ დაიხვეწა კონტროლის მექანიზმის სისტემა.
    - წლის განმავლობაში განხორციელდა 500-ზე მეტი ბიზნეს სესხის მართვა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში და გადაირიცხა 78.3 მლნ ლარი.
- სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ უნივერსალური ნაწილის მართვა:
    - 2023 წელს ფინანსური პროცესებისა და რისკების მართვის დეპარტამენტის მიერ დაინერგა ინფორმაციის მიმოცვლის გამარტივებული ონლაინ სისტემა, რომელშიც 2023 წლის ბოლოს დაერთდა ბანკების 80%-თან. ასევე, შემუშავდა განახლებული დადგენილების პირობების შესაბამისი კონტროლის მექანიზმები და ბიუჯეტის აღრიცხვის მექანიზმი პროგრამების კომპონენტების ჭრილში.
    - წლის განმავლობაში განხორციელდა 900-მდე ბიზნეს სესხის მართვა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში და გადაირიცხა 16.8 მლნ ლარი.

- 2023 წელს გაციფრულდა გადასარიცხი თანხების გრაფიკებთან მიმართებაში დადარების და შესაბამისი კონტროლის მექანიზმები.
- აღნიშნულ პროგრამაში განხორციელდა ევროკავშირის ბიუჯეტით დაფინანსებული საპილოტე მიმართულების შესაბამისი პირობებითა და კრიტერიუმებით სესხის თანადაფინანსებისა და საგრანტო თანხების ხარჯვის მექანიზმის დანერგვა. წლის განმავლობაში დამუშავდა 45 სესხი და სესხის ჭრილში მიზნობრივი გახარჯვისთვის მიმართული იქნა 873 ათასი ლარის სუბსიდია.
- აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, მსოფლიო ბანკის ბიუჯეტიდან განხორციელდა 250-მდე ბიზნეს სესხის მართვა და გადაირიცხა 3.2 მლნ ლარი.

- სახელმწიფო პროგრამის საკრედიტო საგარანტიო სქემის მართვა:
  - 2023 წელს საკრედიტო საგარანტიო სქემისთვის დაიხვეწა და გამარტივდა თვითშემოწმებადი რეპორტინგის ფორმა, რომელიც სხვადასხვა კომპონენტებში ადარებს პროგრამის ფარგლებში გადარიცხვებს.
  - 2023 წელს, ჯამში ათვისებულ იქნა 916 ტრანში და გადაირიცხა საგარანტიო თანხა 58.5 მლნ ლარამდე ოდენობით.
  - ამავე პროგრამის ფარგლებში, 2023 წელს, ბანკებში განთავსებული დეპოზიტებისათვის ჩარიცხულმა სარგებელმა შეადგინა 19.4 მლნ ლარი, ხოლო სარგებლობის საკომისიომ (0.3%-1.5%) – 1.1 მლნ ლარი.

- სახელმწიფო პროგრამების - „იპოთეკური კრედიტის მხარდაჭერის მექანიზმის“ და „სუბსიდირებული იპოთეკური სესხის“ მართვა:
  - 2023 წელს სრულად მოხდა ორივე პროგრამის გაციფრულება;
  - “იპოთეკური კრედიტების მხარდაჭერის მექანიზმის“ პროგრამის ფარგლებში, 5427 ბენეფიციარზე გადაირიცხა 14.3 მლნ ლარი.
  - „სუბსიდირებული იპოთეკური სესხის“ პროგრამის ფარგლებში 4819 ბენეფიციარზე გადაირიცხა 33.9 მლნ ლარი.

6. ანალიზის, მონიტორინგისა და შეფასების დეპარტამენტი

ანალიზის, მონიტორინგის და შეფასების დეპარტამენტის ამოცანები და ფუნქციებია:

ა) სააგენტოს ყველა პროგრამისთვის შესაბამისი მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება, აღნიშნული სისტემის პერიოდული განახლება;

ბ) სააგენტოს ყველა პროგრამის მონიტორინგის განხორციელების უზრუნველყოფა;

გ) სააგენტოს პროგრამების შედეგების საზომი მაჩვენებლების შემუშავება და აღნიშნული მაჩვენებლების მეშვეობით პროგრამების შედეგების პერიოდული გაზომვა შედეგებზე დაყრდნობით პროგრამის სრულყოფისათვის განსახორციელებელი ცვლილების ინიცირება;

დ) სააგენტოს დეპარტამენტების სამუშაოს გაზომვადი მაჩვენებლების სისტემის ჩამოყალიბება და პერიოდული განახლება;

ე) სამეწარმეო, საექსპორტო და საინვესტიციო სფეროსთან დაკავშირებული საჭირო ანალიტიკური კვლევების იდენტიფიცირება და განხორციელება;

ვ) სააგენტოს ანალიტიკური ინფორმაციით უზრუნველყოფა;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში განცხადებების, საჩივრების, წერილების განხილვა/მომზადება ან/და განხილვაში/მომზადებაში მონაწილეობა;

თ) სააგენტოს პროგრამების დაგეგმვასა და სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრაში მონაწილეობა.

6.1 ანალიტიკის მიმართულება

ანალიტიკის მიმართულებით დეპარტამენტის საქმიანობა მოიცავს ყოველკვირეული, ყოველთვიური და ყოველწლიური ანგარიშების მომზადებას, სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშებზე მუშაობას, სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით კვლევით საქმიანობას.

2023 წლის განმავლობაში დეპარტამენტმა მოამზადა 40-მდე ყოველკვირეული და 8 ყოველთვიური ანგარიში. დეპარტამენტი, გარკვეული პერიოდულობით (კვარტალურად, ნახევარწლიურად, წლიურად) ახორციელებდა სხვადასხვა სტრატეგიის[5] სამოქმედო გეგმების ფარგლებში შესრულების ანგარიშების მომზადებას.

2023 წელს დეპარტამენტმა იმუშავა ევროკავშირის კითხვარზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან კოორდინირებით. ასევე, საანგარიშგებო პერიოდში მუშაობდა ისეთ საერთაშორისო დოკუმენტებზე, როგორიცაა OECD-ის რეიტინგის SME policy index-ის შეფასების კითხვარი, მსოფლიო ბანკის მატრიცა შეფასებითი ანგარიშისთვის - Functional assessment of the programs and investments.

[5] მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების, შრომისა და დასაქმების პოლიტიკის, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების, DCFTA, ხედვა 2030, ადამიანის უფლებათა დაცვის, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის, დაბერების, ვეტერანთა, საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის, შშმ პირთა უფლებების დაცვის ხელშეწყობის.

დეპარტამენტმა განიხილა რიგი კვლევითი დოკუმენტები, რომლებიც მომზადებულ იქნა სხვადასხვა კვლევითი ორგანიზაციების მიერ, მათ შორის:

- GIZ-ის მიერ საქართველოში ინდივიდუალური მეწარმეებისა და მიკრო/მცირე საწარმოების მხარდამჭერი პროგრამების ეფექტურობის შეფასების ანგარიში (Assessment Report on the efficacy of support programmes in Georgia for individual entrepreneurs and micro-/small- enterprises);
- ACT-ის მიერ მომზადებული კვლევის ანგარიში „ბიზნესის კმაყოფილება მუნიციპალიტეტის საქმიანობითა და სერვისებით";
- პარლამენტის თემატური მოკვლევა მეწარმეობის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამების ხელმისაწვდომობასა და ეფექტიანობასთან დაკავშირებით – „აწარმოე საქართველოში"–ს პროგრამების ეფექტიანობის შესახებ;
- იმერეთის „ჭკვიანი სპეციალიზაციის სტრატეგია" (S3).

ასევე, დეპარტამენტმა განახორციელა წინასწარი კვლევითი სამუშაოები ახალი პროგრამების დიზაინის შესამუშავებლად და არსებულ პროგრამებში ცვლილებების შეტანის მიზნით. დეპარტამენტის კვლევით საქმიანობაზე დაყრდნობით, იგეგმება ისეთი პროგრამების შემუშავება, როგორიცაა კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერა (ობლიგაციების გამოშვების გზით), კერძო კაპიტალის ფონდის დაარსება, აქტივებზე დაფუძნებული დაფინანსების პლატფორმის შექმნა, მიკრო სესხების პროგრამის დაწყება.

6.2 მონიტორინგისა და შეფასების მიმართულება

მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით ანალიზის, მონიტორინგისა და შეფასების დეპარტამენტი მუშაობს გავლენის შეფასების ანგარიშებზე სააგენტოს პროგრამებისა და აქტივობების შედეგებისა და ეფექტურობის ანალიზისათვის. დეპარტამენტმა, 2023 წელს განახორციელა სააგენტოს პროგრამების ეკონომიკური გავლენის შეფასება, რის ფარგლებშიც შეფასდა 5 პროგრამა (მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა, ექსპორტის მენეჯერთა გადამზადება, საერთაშორისო ღონისძიებები და კავშირების დამყარება, საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმი, სესხის/ლიზინგის პროცენტის თანადაფინანსების პროგრამა). მონაცემთა შეგროვების მიზნით შემუშავდა ბენეფიციართა კითხვარი ფინანსური და ეკონომიკური მაჩვენებლების შესახებ დანიურ პლატფორმა SurveyXact-ზე და დაეგზავნა აღნიშნული პროგრამების ბენეფიციარებს. განხორციელდა მიღებული მონაცემების გაწმენდა, დამუშავება და ანალიზი. ასევე, 2023 წელს დაიწყო 2024 წლის გავლენის შეფასების ანგარიშის მოსამზადებლად გაუმჯობესებული კითხვარის შემუშავება.

7. ადმინისტრაციული დეპარტამენტი

ადმინისტრაციული დეპარტამენტი აერთიანებს ბუღალტერიის, იურიდიული, საქმისწარმოების, პროგრამული უზრუნველყოფის, HR (ადამიანური რესურსები), საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურისა და გენდერული თანასწორობის საკითხების მუდმივმოქმედი კომისიის საქმიანობებს. ადმინისტრაციული დეპარტამენტის ამოცანები და ფუნქციებია:

ა) სააგენტოს სამოქმედო გეგმის მიხედვით ერთიანი ბიუჯეტის პროექტის შემუშავება და მისი შესრულების კოორდინაცია;

ბ) საბუღალტრო აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების უზრუნველყოფა;

გ) საგადასახადო დეკლარაციების მომზადება და საგადასახადო ორგანოებთან ურთიერთობა;

დ) მომწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფინანსური ვალდებულებების შესრულების კონტროლი;

ე) შესყიდვების წლიური გეგმის შემუშავება, კომპეტენციის ფარგლებში სატენდერო და პირდაპირი შესყიდვის წესით განსაზღვრული პროცედურების წარმართვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ვ) სააგენტოს მატერიალურ-ტექნიკური ფასეულობებით და ლოჯისტიკური მომსახურებით უზრუნველყოფა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში სააგენტოს საქმიანობის სამართლებრივი მხარდაჭერა და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;

ლ) სააგენტოში არსებული კომპიუტერული ტექნიკის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა (ქსელური მოწყობილობების მართვა, ელექტრონულ მონაცემთა ბაზების სისტემური ადმინისტრირება);

მ) სააგენტოს საქმისწარმოების ორგანიზება, ხელმძღვანელობა, კოორდინაცია და კონტროლი;

ნ) სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;

ო) პერსონალის შერჩევის პროცესის დაგეგმვა და ორგანიზება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

პ) სააგენტოს შინაგანაწესით განმტკიცებული ნორმების შესრულების მონიტორინგი;

ჟ) სააგენტოს შინაგანაწესის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში თანამშრომელთა მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საქმის წარმოება;

რ) პერსონალის პროფესიული განვითარების მხარდაჭერა;

ს) სააგენტოს თანამშრომელთა მონაცემთა ბაზისა და პირადი საქმეების წარმოება;

ტ) საკადრო საქმისწარმოება;

უ) სტაჟირებისა და პრაქტიკის პროცესის დაგეგმვა და კოორდინაცია;

ფ) თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების მომზადება;

ქ) თანამშრომელთა შეფასების სისტემის შემუშავება და პროცესის კოორდინაცია;

ღ) ჯანსაღი ორგანიზაციული კულტურის ხელშეწყობა.

7.1.ფინანსური მაჩვენებლები

2023 წელს არსებული პროგრამების ფარგლებში გაიცა 245 მილიონ ლარზე მეტი, რომელთა დეტალური ჩაშლაც მოცემულია ცხრილ 21-ში.

ცხრილი 21. პროგრამების ფარგლებში გაცემული თანხები (2021-2023)

	2021	2022	2023
მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება	**138,438,463**	**196,307,928**	**231,613,717**
სახელმწიფო პროგრამის - საკრედიტო საგარანტიო სქემის ფარლებში დეპოზიტებზე თანხის განთავსება	44,059,365	47,994,950	58,360,516
სახელმწიფო პროგრამა - „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილი	48,948,197	75,504,514	78,246,612
სახელმწიფო პროგრამა - „აწარმოე საქართველოში“ უნივერსალური ნაწილი	4,486	4,002,194	16,792,374
საგრანტო კომპონენტი	-	728,383	3,176,014
თანადაფინანსების მექანიზმი მცირე და საოჯახო სასტუმრო ინდუსტრიის ხელშეწყობისთვის	131,010	-	-
სახელმწიფო პროგრამები - სუბსიდირებული იპოთეკური სესხი; იპოთეკური კრედიტების მხარდაჭერის მექანიზმი	23,106,973	37,085,701	48,227,329
მიკრო გრანტების პროგრამა	14,303,493	29,986,490	24,549,445
რესტორნის სესხის პროცენტის სუბსიდირების სქემა	4,453,681	-	-
სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ - კინო ინდუსტრიის ნაწილი	130,149	56,711	2,111,474
ღონისძიების ორგანიზატორთა სესხის პროცენტის სუბსიდირების სქემა	1,815,925	-	-
სპორტული ობიექტების/საბავშვო ბაღების სუბსიდირება	1,210,368	-	-
საერთაშორისო ბრენდი	189,049	354,888	22,965
TA - ტექნიკური დახმარების კომპონენტი	85,767	33,738	10,378
TA - ექსპორტის სტიმულირების პროგრამა	-	560,359	116,610
ექსპორტის დეპარტამენტის ხარჯი	**2,673,542**	**3,540,298**	**9,492,922**
ინვესტიციების დეპარტამენტის ხარჯი	**1,072,350**	**3,809,154**	**4,682,946**
სულ	**142,184,355**	**203,657,380**	**245,789,585**

7.2. ბუღალტერიის მიმართულება

2023 წელს ბურალტული აღრიცხვის უფრო ეფექტურად მუშაობისათვის ორის ბუღალტერია 7-ში განახლდა ახალი სააღრიცხვო ბაზა:

- მონაცემები დალაგდა შესაბამისი შინაარსების და ჯგუფების მიხედვით;
- დაკავშირდა მენეჯერული და ბუღალტრული მოდული, რამაც ინვენტარიზაციის პროცესში უფრო მოქნილი გახადა აქტივების აღრიცხვა;
- საბუღალტრო პროგრამაში განპიროვნდა ბალანსზე რიცხული სასაქონლო მატერიალური ფასეულობები;
- გადაიხედა სააგენტოს საწყობში არსებული სასაქონლო მატერიალური მარაგები და აღირიცხა შესაბამის ბუღალტრულ ანგარიშებზე;
- ფინანსთა სამინისტროს გრანტების ჟურნალში დარეგისტრირდა ევროკავშირთან გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულება.

7.3. იურიდიული სამსახური

იურიდიული სამსახური შეიქმნა 2021 წლის აგვისტოში. იურიდიული სამსახურის ამოცანები და ფუნქციებია:

ა) სააგენტოს საქმიანობის სამართლებრივი მხარდაჭერა და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;

ბ) სააგენტოს კანონიერი უფლებებისა და ინტერესების წარმომადგენლობა და დაცვა ყველა ინსტანციის სასამართლოში;

გ) სააგენტოს კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვა მესამე პირებთან (მათ შორის მოქალაქეებთან და ადმინისტრაციულ ორგანოებთან) ურთიერთობებში;

დ) საჯარო ინფორმაციის გაცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) კომპეტენციის ფარგლებში, სამართლებრივი და საკანონმდებლო აქტების პროექტების მომზადება;

ვ) სააგენტოს მიერ სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, როგორც მონაწილე ფინანსურ ინსტიტუტებთან, ასევე ბენეფიციარებთან დასადები ხელშეკრულებების/შეთანხმებების მომზადება ან/და მათი სამართლებრივი ექსპერტიზა;

ზ) საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს მიერ დასადები საერთაშორისო და სხვა სახის ხელშეკრულებების, მემორანდუმების პროექტების მომზადებაში მონაწილეობის მიღება ან/და სამართლებრივი ექსპერტიზა;

თ) სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული და დისციპლინური წარმოების სამართლებრივი უზრუნველყოფა.

ი) კომპეტენციის ფარგლებში და დადგენილი წესით, დაინტერესებულ პირთა საჩივრების, წერილებისა და განცხადებების განხილვა და/ან განხილვაში მონაწილეობა და მათზე გადაწყვეტილებების (პასუხების) მომზადება.

სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის მიმართულებით 2023 წლის მანძილზე მომზადდა პროგრამების მარეგულირებელი დოკუმენტაცია ან შესაბამისი ცვლილების პროექტები განხორციელდა სააგენტოს მიმდინარე პროგრამების ფარგლებში არსებული ხელშეკრულებების პროექტების რევიზია და განახლება; სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებული, ასევე მსოფლიო ბანკის და სხვა დონორი ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების, წერილების, მემორანდუმების, ხელშეკრულებების, ინსტრუქციების პროექტების და სხვა კორესპონდენციის სამართლებრივი ექსპერტიზა.

კერძოდ:

- ,,აწარმოე საქართველოში სახელმწიფო პროგრამის მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის N365 დადგენილებაში ცვლილებები;
- ,,საკრედიტო საგარანტიო სქემის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის N163 დადგენილებაში ცვლილებები;
- ,,მიკრო მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 დეკემბრის N567 დადგენილებაში ცვლილებები;
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის UN გრანტი (მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტი);
- საქართველოს მთავრობის მიერ სააგენტოსთვის გამარტივებული შესყიდვის განხორციელების უფლების მინიჭების თაობაზე შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება და ინიცირება:
    - 25-მდე მემორანდუმის გაფორმება,
    - 60-მდე ახალი ხელშეკრულება გაფორმება,
    - 180-მდე შეთანხმების გაფორმება.

იურიდიული სამსახური ხელს უწყობს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. 2023 წლის მანძილზე სააგენტოში დაფიქსირდა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის 209 ფაქტი. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე მიღებულია 209 გადაწყვეტილება.

სამართლებრივი დავების მიმართულებით, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის N365 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის ფარგლებში 2023 წლის მანძილზე, მომზადდა და სასამართლოში შეტანილ იქნა 42 სარჩელი.

7.4 საქმისწარმოების მიმართულება

საქმისწარმოების მიმართულების საქმიანობა მოიცავს ორ ძირითად აქტივობას:

• საქმისწარმოების ორგანიზება,

• საარქივო დოკუმენტაციის მართვა.

საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემის მეშვეობით 2023 წელს სააგენტოდან გავიდა 1,283 წერილი.

2023 წელს შევიდა შესაბამისი ცვლილებები სააგენტოს ინდექსაციის წესში, რომელიც თავის მხრივ, ასახულ იქნა საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში (დესი).

7.5 ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით განხორციელებული აქტივობები

ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულება აერთიანებს როგორც სააგენტოს და მისი ჰაბების ტექნიკური მხარდაჭერის/ქსელის მოწყობის, ასევე ვებ დეველოპმენტის გუნდის საქმიანობებს და მის ფუნქციებში შედის:

- სააგენტოს და მისი ჰაბების ტექნიკური მხარდაჭერა, კომპიუტერული და ქსელური მოწყობილობების მონიტორინგი და პრობლემების/ხარვეზების იდენტიფიცირება, გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა;
- ქსელის და ქსელის ინფრასტრუქტურის მოწყობა, არსებული ქსელის მხარდაჭერა და მონიტორინგი;
- შიდა და გარე ქსელური VoIP ტელეფონის კონფიგურაცია, გამართვა და გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა;
- სააგენტოს შიდა ფაილების შესანახი სერვერის მართვა, უფლებების და დაშვებების განაწილება, ასლის შენახვა და უსაფრთხოება;
- მეილის, ორისის და სხვა პროგრამული პაკეტების/სერვისების შეუფერხებლად მუშაობის უზრუნველყოფა;
- ელექტრონულ მონაცემთა ბაზების სისტემური ადმინისტრირება;
- სააგენტოს შიდა ვებ პლატფორმების მხარდაჭერა, მონიტორინგი, განახლება;
- ახალი ვებ პლატფორმების დაგეგმვისა და შექმნისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება, მათი სერვერების უზრუნველყოფა;
- ვებ პლატფორმების შექმნა, მოდიფიცირება, განახლება, ფუნქციების დამატება;
- პროცესების გაციფრულება;

2023 წელს, ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- რეგიონალური ჰაბების ზუგდიდის ფილიალის კომპიუტერული და ტექნიკური უზრუნველყოფა, ისევე როგორც ქსელის მოწყობა;
- რეგიონალური ჰაბებისთვის ვებ პლატფორმის შექმნა, რომელიც მოიცავს, როგორც ინფორმაციულ ვებ გვერდს საკუთარი მართვის პანელით, ასევე რეგიონალური

ოფისის, ცენტრალური ოფისის, მეწარმის, საკონსულტაციო კომპანიებისა და ტრენინგების განმახორციელებლების მოდულებს ცენტრალიზებული, მომხმარებლებთან ურთიერთობის მენეჯმენტის ფუნქციონალით;

- შიდა ქსელური ფაილსერვერის სრულად გამოყოფა ეკონომიკის სამინისტროსგან და დამოუკიდებელი ფაილსერვერის ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- საბუღალტრო პროგრამა ორისის ვერსიის სრული განახლება ყველა მოწყობილობაზე, რომელიც იყენებს აღნიშნულ პროგრამას;
- საკრედიტო საგარანტიო სქემის პროგრამისთვის განკუთვნილი ვებ პლატფორმის (cgs.gov.ge) განახლება, ახალი ფუნქციონალის დამატება, ოპტიმიზაცია;
- უნივერსალური, ინდუსტრიული და იპოთეკური სესხების პროგრამისთვის განკუთვნილი ვებ პლატფორმის (universal.gov.ge) განახლება, ახალი ფუნქციონალის დამატება, ოპტიმიზაცია;
- Film in Georgia-ს პროგრამის ფარგლებში, განაცხადების მიღების მოძველებული უსაფრთხოების სტანდარტების მქონე ციფრული ვებ პლატფორის სრულიად თავიდან შექმნა და მოდერნიზაცია.

7.6. გენდერული თანასწორობის საკითხების მუდმივმოქმედი კომისია

სსიპ-ში „აწარმოე საქართველოში“ შექმნილია გენდერული თანასწორობის საკითხების შესაბამისი ინსტიტუციური სისტემა. 2020 წელს დამტკიცდა გენდერული თანასწორობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, ხოლო 2021 წელს შეიქმნა და დამტკიცდა მაკოორდინირებელი კომისია. სააგენტოს ვებ-გვერდზე შექმნილია „გენდერული პოლიტიკის ბლოკი“ სამი ქვედანაყოფით: მარეგულირებელი აქტები, ანგარიშები და წარმატების ისტორიები.

2023 წელს ქალ მეწარმეებთან ჩატარდა 8 საინფორმაციო და სხვადასხვა თემატიკის შეხვედრა. მათ შორის:

1. „დაფინანსების გაუმჯობესება საერთაშორისო ვაჭრობაში" - ქალთა ბიზნეს პოტენციალის გაფართოება საერთაშორისო ბიზნესში, საერთაშორისო სავაჭრო პალატისა და აზიის განვითარების ბანკის პარტნიორობით სემინარები გაიმართა თბილისსა და დაბა კაჭრეთში (კახეთი);
2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ორგანიზებით და USAID-ის პროგრამის მხარდაჭერით გაიმართა კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭოსთან არსებული ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობის ქვესაბჭოს სხდომა, რომელზეც მოწვეულ მეწარმე ქალებს მიეწოდათ ინფორმაცია სახელმწიფო ფინანსურ ხელშემწყობ პროგრამებზე. ასევე, გაიმართა დისკუსია თემაზე „ქალთა მეწარმეობა და ფინანსებზე წვდომა”;
3. სათემო ლიდერთა ფორუმი, რომელიც გაიმართა წინანდალში და რომლის ერთ-ერთი პანელის თემატიკა იყო „ქალთა ეკონომიკური გაძლიერება - სოფლად არსებული

შესაძლებლობები“. აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდნენ ქალი მეწარმეები საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, სადაც განხილულ იქნა ქალი მეწარმეების წინაშე მდგარი გამოწვევები და არსებული შესაძლებლობები მათი ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით;

4. ბიზნესასოციაცია "ქალები მომავლისთვის" ქეა კავკასიასთან პარტნიორობით ახორციელებს ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროექტს, რომლის ფარგლებშიც გაიმართა სამუშაო შეხვედრა, ე.წ. Task Force Group, ქალებისთვის დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის გამოწვევების იდენტიფიცირებისთვის და შემდეგ ამ გამოწვევებზე ადვოკატირების განხორციელების კუთხით;
5. ბიზნეს ფედერაცია "ქალები მომავლისთვის" ორგანიზებით საქართველოს 3 ქალაქში (თელავი, ზუგდიდი, ბათუმი) გაიმართა მეწარმე ქალების ფორუმი. ღონისძიება მოიცავდა ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობების გაცნობას, ბიზნესლიდერი ქალებისგან გამოცდილების გაზიარებასა და ქოუჩინგ სესიებს. ამასთანავე მოიზრებოდა ერთჯერადი ბიზნეს კონსულტაციები მეწარმე ქალებისთვის.

8. საერთაშორისო ურთიერთობების და დონორთა კოორდინაციის სამსახური

საერთაშორისო ურთიერთობების და დონორთა კოორდინაციის სამსახურის ამოცანები და ფუნქციებია:

ა) სააგენტოს საქმიანობის შესაბამისად, დონორ/საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა და ცნობიერების ამაღლება, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე;

ბ) სააგენტოს საქმიანობაში დონორების ჩართვის ახალი ტენდენციებისა და გამოცდილების შესწავლა, კონკრეტული მექანიზმებისა და რეკომენდაციების შემუშავება;

გ) სააგენტოს მიერ განხორციელებული პროგრამებისა და ინიციატივების ფარგლებში, დონორებთან და სააგენტოს პარტნიორებთან თანამშრომლობის გაძლიერება და დივერსიფიცირება;

დ) საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების განხორციელებული პროგრამებისა და აქტივობების შესახებ ინფორმაციის კონსოლიდაცია;

ე) საერთაშორისო ღონისძიებების (ფორუმი, მისიები და ა.შ.) ორგანიზება, განხორციელება და კოორდინაცია.

საერთაშორისო ურთიერთობებისა და დონორთა კოორდინაციის სამსახური პროაქტიულად თანამშრომლობს საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან, რაც, თავის მხრივ, მეწარმეობის ხელშეწყობის, ექსპორტის განვითარებისა და ინვესტიციების მოზიდვის კუთხით სათანადო რესურსების მოძიებასა და არსებული პროგრამების განვითარებას ემსახურება.

2019-2023 წლების მონაცემებით, 23 პარტნიორ ორგანიზაციასთან სააგენტოს თანამშრომლობის შედეგად განხორციელდა 130 სხვადასხვა პროექტი. აღნიშნული პროექტების ჯამური ბიუჯეტი 22 მილიონ ლარამდეა.

უშუალოდ 2023 წლის განმავლობაში პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით განხორციელდა 36 პროექტი.

ცხრილი 22. დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით განხორციელებული პროექტები (2023)

დონორი ორგანიზაცია	პროექტი
USAID (ESP)	არასასოფლო-სამეურნეო მიმართულებით, ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიების მხარდაჭერის მიზნით, „Business Lead Generation" პროგრამის ფარგლებში, საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია OCO Global-ის დაქირავება.
	პორტუგალიაში, ლისაბონში, 6 ქართული ე.წ სტარტაპ კომპანიის წარმომადგენლებისთვის WebSummit ღონისძიებაზე მონაწილეობის თანადაფინანსება.
	ექსპორტზე ორიენტირებული 9 კომპანიისთვის, Spielwarrenmesse 2023 გამოფენის ფარგლებში B2B შეხვედრების მხარდაჭერის მიზნით, კონსულტანტის დაქირავების დაფინანსება.
USAID (AGRI)	ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიების შესაძლებლობების განვითარების მიზნით, სააგენტოს ექსპორტის მენეჯერთა სასერტიფიკატო კურსის მხარდაჭერა და თანადაფინანსება.
	საქართველოს საინვესტიციო პოტენციალისა და ქართული პროდუქციის საექსპორტო შესაძლებლობების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქართველოში საერთაშორისო მედიის წარმომადგენლების ვიზიტის გამართვა და ტურის განხორციელების დაფინანსება.
	IFE London 2023 გამოფენის ფარგლებში, ექსპორტზე ორიენტირებული 4 კომპანიისთვის გაყიდვების კონსულტანტის დაქირავების დაფინანსება.
USAID (RCP)	სააგენტოს მიკრო გრანტების პროგრამის ბენეფიციარებისათვის, პროგრამის ფარგლებში მიღებული გრანტის ოდენობის იდენტური დამატებითი გრანტების (matching grants) უზრუნველყოფა.
GIZ	სააგენტოს გავლენის შეფასების ანგარიშის ანალიზისთვის კონსულტანტის დაქირავების დაფინანსება.
	სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის მხარდაჭერის გავლენისა და კერძო სექტორის განვითარების თემატიკასთან დაკავშირებით საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, ლიეტუვაში სააგენტოს წარმომადგენლებისთვის სასწავლო ვიზიტის განხორციელების მხარდაჭერა.
	იაპონიაში, ტოკიოში იაპონური ტექსტილის ინდუსტრიის თავისებურებებისა და იაპონიის ბაზრის შესწავლის მიზნით, სასწავლო ვიზიტის ორგანიზება და ფინანსური მხარდაჭერა.
	ISO 9001:2015 მენეჯმენტ სისტემის ხარისხის ტრენინგის გამართვა საქართველოს ტანსაცმლისა და მოდის ასოციაციის, ქართული სამშენებლო მასალების კლასტერების წევრი კომპანიების მენეჯმენტისა და ასევე სააგენტოს „აწარმოე საქართველოში" წარმომადგენლებისთვის.
	სააგენტოს თანამშრომლების მონაცემთა ანალიზის, ვიზუალიზაციისა და ანგარიშგების კუთხით უნარების გაუმჯობესების მიზნით, Power BI & SQL - ის კურსის დაფინანსება.
	საინფორმაციო ბაზაზე BIA.ge სააგენტოს წვდომის უზრუნველყოფა.
	ქართული მედიასაშუალებებისათვის სააგენტოს „აწარმოე საქართველოში" პროგრამებისა და რეგიონული საკონსულტაციო ცენტრების (Growth Hub) საქმიანობის გაცნობისა და ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ბათუმსა და ზუგდიდში ბიზნეს მედია ტურის ფინანსური მხარდაჭერა.
	საქმიანობის ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით, სააგენტოს ინვესტიციების დეპარტამენტის კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვის უზრუნველყოფა.
	სააგენტოს ექსპორტის დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის გაყიდვების მენეჯმენტის, ვაჭრობისა და მასთან დაკავშირებული ტექნიკური ბარიერების კუთხით მოლაპარაკებების წარმოების, ასევე, საერთაშორისო ბაზრების კვლევის (ე.წ. Market Intelligence) მიმართულებებით სასწავლო კურსის გამართვის უზრუნველყოფა.
	სააგენტოს მიკრო მეწარმეობის განვითარების დეპარტამენტისა და საკონსულტაციო ცენტრების თანამშრომლების საგადასახადო, სერვის პლუსისა და პროექტის მენეჯმენტის მიმართულებით კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ბორჯომში, სასწავლო კურსის ორგანიზება და ფინანსური მხარდაჭერა.
	აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მცირე და საშუალო საწარმოების გაციფრულების (DT4SME) პროექტის ფარგლებში, მცირე და საშუალო საწარმოების გაციფრულების მიმართულებით საუკეთესო პრაქტიკების გაზიარების მიზნით, სააგენტოს მიკრო მეწარმეობის განვითარების დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის გერმანიაში, მანჰაიმში სასწავლო ტურის ორგანიზება და ფინანსური მხარდაჭერა.
	სააგენტოს მიკრო მეწარმეობის განვითარების დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის, ბაქოში გამართულ საერთაშორისო სამიტზე InMerge Innovation Summit მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება.

Sparkasse	ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, სააგენტოს კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფა.
	სააგენტოს მიკრო გრანტების, უნივერსალური, ინდუსტრიული და საკრედიტო-საგარანტიო პროგრამების ფარგლებში მხარდაჭერილი პროექტების, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული მწვანე ტაქსონომიის მიხედვით შეფასების მიზნით ექსპერტის დაქირავება.
	ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, სააგენტოს რეგიონული საკონსულტაციო ცენტრების (Growth Hubs) კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფა.
EBRD	სააგენტოს მიკრო მეწარმეობის განვითარების დეპარტამენტის თანამშრომლების ციფრული უნარების გაუმჯობესების მიმართულებით ტრენინგ კურსის „Going Digital" დაფინანსება.
	სააგენტოს რეგიონული საკონსულტაციო ცენტრების (Growth Hub) ვებ-გვერდის გამართვის მიზნით, ვებ-დიზაინერის მომსახურების შესყიდვის დაფინანსება.
	სააგენტოს ქუთაისის რეგიონული საკონსულტაციო ცენტრის (Growth Hubs) კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფა.
	საქართველოს მასშტაბით, კერძოდ ზუგდიდში, ქუთაისში, რუსთავსა და ბათუმში 78 ბენეფიციარისათვის (მათ შორის 58 ე.წ Graduation Program-ის ბენეფიციარი) ციფრული უნარ-ჩვევების განვითარების კუთხით „Be Digital" ტრენინგის გამართვის ფინანსური მხარდაჭერა.
	სააგენტოს პროგრამებზე ცნობიერების ამაღლებისა და რეგიონული საკონსულტაციო ცენტრების სერვისებზე მოთხოვნის გაზრდის მიზნით, ე.წ. Graduation პროგრამის ბენეფიციარების თაობაზე წარმატების ისტორიების გადაღების უზრუნველყოფა.
	რეგიონული საკონსულტაციო ცენტრების ვებ-გვერდზე განთავსების მიზნით 20 საგანმანათლებლო ვიდეორგოლის მომზადების უზრუნველყოფა.
	სააგენტოს მიკრო საგრანტო კონკურსის 2022 წლის ბენეფიციარებისთვის Graduation Program-ის დაფინანსება.
	საქართველოს მასშტაბით, კერძოდ თელავში, გორში, ქუთაისში, ზესტაფონში, ახალციხეში, ოზურგეთში, ხულოსა და ბათუმში 109 ბენეფიციარისათვის ციფრული უნარ-ჩვევების განვითარების კუთხით "Be Digital" ტრენინგის მეორე ტალღის ფინანსური მხარდაჭერა.
UNDP	UNDP-ის და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის ფარგლებში (ევროკავშირის ინოვაციური პროექტი კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისთვის საქართველოში) საქართველოს შესაფუთი მასალების სექტორის ხელშეწყობის მიზნით, გერმანიაში, დუსელდორფში საერთაშორისო გამოფენაზე „Interpack 2023" 6 ქართული კომპანიის მონაწილეობის თანადაფინანსება.
UN Global Compact	თემაზე „კორპორაციული მდგრადობის სტიმულირება პოლიტიკის დონეზე" თელავში სამუშაო შეხვედრისა და სასწავლო კურსის ფინანსური მხარდაჭერა სააგენტოს თანამშრომლებისათვის.
	ექსპორტის მენეჯერთა კვალიფიკაციის ამაღლების, ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიების გადამზადების და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით, ზუგდიდში გამართული ექსპორტის მენეჯერთა სასერტიფიკატო კურსის ფინანსური მხარდაჭერა.
IFC	2024 – 2028 წლებისთვის ინვესტიციების მოზიდვის სტრატეგიის შემუშავების ფინანსური მხარდაჭერა.
JICA	მცირე საგრანტო პროექტის კონკურსის ფარგლებში, რეგიონული საკონსულტაციო ცენტრების (Growth Hubs) კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფა.
EU	მცირე და საშუალო საწარმოების გაციფრულების მხარდასაჭერად სააგენტოსთვის გრანტის გადაცემა. პროგრამის მიზანია კერძო სექტორის ციფრული უნარების ამაღლება და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით, მათ მიერ ციფრული ინსტრუმენტების შეძენის და დანერგვის წახალისება.

9. „საქართველოს მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დახმარებისა და აღდგენის პროექტის" საორგანიზაციო ჯგუფი

მსოფლიო ბანკის „საქართველოს მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების დახმარებისა და აღდგენის" პროექტის (P173975) მართვა შეითავსა სააგენტოში შექმნილმა შესაბამისმა საორგანიზაციო ჯგუფმა. საერთო სესხში სააგენტოს წილი შეადგენს 72.8 მილიონ დოლარს, რასაც ემატება პროექტის მართვისა და მონიტორინგის ხარჯების ბიუჯეტი (4.8 მლნ ევრო),

ხოლო დანარჩენ წილზე, რომელიც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საქართველოს ეროვნული ბანკის ქვეკომპონენტებს აფინანსებს, სააგენტო შესყიდვებისა და ფინანსების საკითხებს მართავს. სესხი 2026 წლის 30 ივნისამდეა აქტიური.

აღნიშნული პროექტი შედგება რამდენიმე კომპონენტისაგან და მოიცავს:

1. MSME-ების ფინანსური დახმარებასა და აღდგენას;
2. ციფრული გადახდებისა და ფინანსური ინფრასტრუქტურის განახლებას;
3. პროექტის მართვასა და მონიტორინგს.

აღნიშნული კომპონენტები, პროგრამების მიხედვით, შემდეგნაირად ნაწილდება:

ა) მიკრო გრანტების დაფინანსება (საორიენტაციო ბიუჯეტი 25.2 მლნ ევრო),

ბ) სესხის პროცენტის თანადაფინანსება (საორიენტაციო ბიუჯეტი 12.8 მლნ ევრო),

გ) საკრედიტო საგარანტიო სქემის დაფინანსება (საორიენტაციო ბიუჯეტი 25 მლნ ევრო),

დ) რეგიონული საკონსულტაციო ცენტრების (ე.წ. „Growth Hub”) გახსნა-აღჭურვა და მცირე კომპანიებისთვის სხვადასხვა მიმართულებით საკონსულტაციო მომსახურების, ტრენინგებისა და სემინარების შეთავაზება (საორიენტაციო ბიუჯეტი 5 მლნ ევრო).

მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში, მიკრო გრანტების 2023 წლის რაუნდი სრულად ამ პროექტით დაფინანსდა (დეტალები 2023 წლის მიკრო გრანტების პროგრამის შესახებ მიკრო და მცირე მეწარმეობის განვითარების დეპარტამენტის თავშია მოცემული).

2022 წელს, სააგენტომ მონაწილეობის ხელშეკრულება გააფორმა ბაზარზე მოქმედ 11 კომერციულ ბანკთან, ვისთან ერთადაც ეტაპობრივად დაიწყო ე.წ. „გამწვანების“ პროცესი. პროცესი გულისხმობს ფინანსური ინსტიტუტების გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის მსოფლიო ბანკის შესაბამის რეგულაციებთან ჰარმონიზაციას და მსოფლიო ბანკის მოთხოვნებით შემუშავებული „გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტის“ მიღებას. ზემოთ აღნიშნული წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად წინაპირობას, რათა მონაწილე ფინანსურმა ინსტიტუტებმა სააგენტოს პროგრამების ქვეშ, მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში, გასცენ სესხები.

2023 წელს მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში სესხებს გასცემდა ექვსი უმსხვილესი კომერციული ბანკი: საქართველოს ბანკი, თიბისი ბანკი, ლიბერთი ბანკი, ბაზისბანკი, პროკრედიტ ბანკი და ტერა ბანკი. სესხის პროცენტის თანადაფინანსების ფარგლებში 2023 წლის ბოლოსთვის გაცემული იყო 356 სესხი 269.6 მილიონ ლარამდე ჯამური მოცულობით, ხოლო საკრედიტო-საგარანტიო სქემით - 132 სესხი 106.7 მილიონ ლარზე მეტი ოდენობის დამტკიცებული თანხითა და 74 მილიონ ლარამდე გარანტირებული თანხის მოცულობით.

2023 წელს ზუგდიდში გაიხსნა პირველი რეგიონული საკონსულტაციო ცენტრი, რომელმაც აქტიურად დაიწყო მუშაობა შემდეგი სამი მიმართულებით: ადგილობრივი ფირმებისა და ბიზნესების საკონსულტაციო მომსახურება, ბიზნეს უნარების გაუმჯობესება და საინფორმაციო მომსახურება. გაფორმდა ხელშეკრულებები საკონსულტაციო კომპანიებთან სხვადასხვა მიმართულების საკონსულტაციო სერვისების კომპანიებისთვის მიწოდებაზე, ასევე ხელშეკრულება საკონსულტაციო კომპანიასთან დასავლეთ საქართველოში მეწარმეებისათვის სემინარებისა და ტრენინგების ჩატარებაზე.

2023 წელს მსოფლიო ბანკს წარედგინა და ბანკმა ოფიციალურად დაადასტურა სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული და ქვეკომპონენტების სახსრების ათვისებასთან დაკავშირებული ოთხი ძირითადი პირობის შესრულება. მიმდინარეობს მუშაობა დარჩენილი ხუთი პირობის შესრულების დასადასტურებლად.

დ.უზნაძის ქუჩა N18. თბილისი, საქართველო
ელ-ფოსტა: info@enterprise.gov.ge
ცხელი ხაზი: 1525
ტელ: + 995 32 296 00 10
enterprise.gov.ge

აწარმოე საქართველოში